პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 27 ივნისი, 1946 წ. № 128 (7601). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

შეჯიბრება თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მოწინავე (1-ლი გვერდი).
ხალხთა ბელადს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (1-ლი გვერდი).
მოსკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას (1-ლი გვერდი).
სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი (1-ლი გვერდი).
ცნობა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შესახებ (მე-2 გვერდი).
გ. კოსიაჩენკო—ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ახალ ხუთწლედში (მე-2 გვერდი).
ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი (მე-3 გვერდი).
„ოთხთა კონფერენციის“ გარშემო. (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

შეჯიბრება თბილისის საქალაქო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის

მიმდინარე წლის 5 თებერვალს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ სთქვა:

„ომის წლებში, გასაგები მიზეზებით, მუშაობა თბილისის კეთილმოწყობისათვის მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. ამან გამოიწვია ქალაქის მეურნეობის დონის გარკვეული დაწევა. ახლა არის შესაძლებლობა უშუალოდ შევუდგეთ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს“.

დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამ მითითების განხორციელებაში თბილისის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ ტრესტებს, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საწარმოებს გარკვეული მიღწევები აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის წარმატებები. ტრესტის კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგად გასულ წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდა ტრამვაის ვაგონების მოძრავი შემადგენლობა, ხაზებზე გამოშვებულ იქნა ოთხვაგონიანი შემადგენლობები, ვაკეში დააგეს ახალი ლიანდაგი, საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნიდან საბურთალოზე მოეწყო ტროლეიბუსების მოძრაობა, გამრავლდა ტროლეიბუსების რიცხვი, გაუმჯობესდა ტრამვაი-ტროლეიბუსების შეკეთების ხარისხი. ყოველივე ამით ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტმა განვლილი ხუთი თვის გეგმა მთლიანად შეასრულა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე საგრძნობი მუშაობა ჩატარდა ქალაქის შემდგომი გამწვანების დარგშიც. დაირგო მრავალი ათეული ათასი ძირი მცენარე, გასუფთავდა და გამშვენიერდა ბაღები და პარკები, გაშენდა ყვავილნარები, ამოქმედდა შადრევნები. წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის ელექტროენერგიითა და წყლით მომარაგების, ქალაქის დასუფთავების, ქუჩებისა და ტროტუარების შეკეთების საქმეში.

მაგრამ რაც გაკეთდა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ გრანდიოზული სამუშაოსი, რომელიც მეოთხე სტალინური ხუთწლედით თბილისის საქალაქო მეურნეობის წინაშეა დასახული.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ქალაქის საბინაო ფონდის ფრიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მრავალი ასეული საცხოვრებელი სახლი გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს, კიდევ უფრო მეტი—მიმდინარე რემონტს. თბილისის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში ბინების კაპიტალურ შეკეთებაზე რაისაბჭოების საბინაო სამმართველოებმა უნდა აითვისონ 6.471 ათასი მანეთი. ამ თანხიდან ხუთი თვის განმავლობაში ათვისებულია 4.789 ათასი მანეთი. სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების ბინების შეკეთებაზე ამავე პერიოდში უნდა აითვისონ 490 ათასი მანეთი, ხუთ თვეში ათვისებულია 323,2 ათასი მანეთი. წითელი არმიიდან დემობილიზებულთა ბინების შეკეთებაზე 550 ათასი მანეთიდან ხუთ თვეში ათვისებულია 387 ათასი მანეთი. ბინების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ხუთ თვეში ათვისებული თანხა თითქმის ერთიორად აღემატება გასული წლის იმავე პერიოდში ათვისებულ თანხებს.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბინების შეკეთების მხრივ ჩვენ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია შეკეთების დაბალი ხარისხი. იმის გამო, რომ სამშენებლო მასალები, განსაკუთრებით გაჯი, აგური, სადებავი, ცუდი ღირსებისაა, კაპიტალურად შეკეთებული მრავალი სახლი რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ საჭიროებს რემონტს. არის ისეთი შემთხვევებიც, მაგალითად, კიროვის რაიონში, როდესაც სახლების წინა ფასადს შეალამაზებენ და მას კაპიტალურ რემონტად აალებენ. ზოგჯერ თვითნებურად ამცირებენ ამათუიმ სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილ თანხებს და ამის გამო ვერ ასრულებენ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს. თბილისში ძალიან ბევრია ისეთი სახლი, რომელთა სახურავებიც დიდი ხანი არ არის რაც შეაკეთეს, მაგრამ შეკეთების უმალვე წყალი კვლავ ჩამოდის, აზიანებს ჭერს, ასველებს კედლებს და, საბოლოო ანგარიშით, რამდენიმე ხნის შემდეგ სახლი კვლავ კაპიტალურად შესაკეთებელი ხდება. მთელი რიგი კაპიტალურად შესაკეთებელი სახლები სატიტულო სიაში არ არის შეტანილი, ხოლო ასეთი სახლების შეკეთების დაყოვნება საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და დაცვის თვალსაზრისით ყოვლად გაუმართლებელია. მრავალ სახლში დაზიანებულია წყალსადენი, კანალიზაცია, კიბეები, სანაგვე ყუთები, ონკანები. მწვავედ დგას სახლების მიმდინარე შეკეთების საკითხიც. აუცილებელია გაუმჯობესდეს და დაჩქარდეს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა და დემობილიზებულთა ბინების შეკეთება.

საქალაქო მეურნეობის მუშაკთა წინაშე მეოთხე სტალინური ხუთწლედით დიდი ამოცანებია დასახული. ეს ამოცანები განსაზღვრულია საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის ინიციატორად გამოვიდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივი. ამ რამდენიმე ხნის წინათ მათ მოწოდებით მიმართეს თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივებს გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საქალაქო მეურნეობის 1946 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

„ჩვენ, თბილისის საქალაქო მეურნეობის მუშაკები,—სწერენ ტრამვაელები თავიანთ მიმართვაში,—უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე ვდგავართ. ჩვენ მოწოდებულნი ვართ საუკეთესო მდგომარეობაში ვიქონიოთ საქალაქო მეურნეობის ყველა უბანი, გადავაქციოთ თბილისი კიდევ უფრო ლამაზ, სანიმუშოდ მოწყობილ დედაქალაქად“.

ტრამვაელთა ამ პატრიოტულ ინიციატივას მხარი დაუჭირეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობისა და ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკებმა. ახლა მთავარი ის არის, რომ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, გადავაქციოთ თბილისი კიდევ უფრო ლამაზ, სანიმუშოდ კეთილმოწყობილ ქალაქად.

ხალხთა ბელადს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ბელადო!

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის საქალაქო კომკავშირული ორგანიზაციის 24-ე კონფერენცია გულითად, მგზნებარე კომკავშირულ სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელ მამასა და მასწავლებელს, ჩვენი ხალხის უდიდეს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

თბილისის საქალაქო კონფერენცია შეიკრიბა ისტორიულ დღეებში, როცა სამშობლო დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ შევიდა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში, როდესაც საბჭოთა ხალხი შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა განხორციელებას. გერმანელ ფაშისტ-დამპყრობლებზე და იაპონელ იმპერიალისტებზე თავის გამარჯვებას ჩვენი ქვეყნის ხალხები უნდა გიმადლოდნენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენს დიდ ბრძენ ბელადს, გენიალურ უძლეველ მხედართმთავარს.

სამამულო ომის დიდ განსაცდელთა დღეებში საქართველოს კომკავშირლები იყვნენ იმ საბჭოთა პატრიოტების პირველ რიგებში, ვინც იარაღით ხელში აღსდგა სამშობლოს დასაცავად, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად.

საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობა იყო ზურგის თავდადებულ მშრომელთა პირველ რიგებში და გმირ წითელ არმიასთან ერთად სჭედდა მტერზე გამარჯვებას.

ახლა ჩვენ მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ვეწევით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ახალი ხუთწლედის მოწინავე სტახანოველ მშენებელთა შორის ცოტა როდია კომკავშირელი, თბილისის ახალგაზრდობა.

ახალგაზრდობამ იცის, რომ ახალ ხუთწლედში მას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, უდიდესი მუშაობა მოელის, რომ იოლი როდი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ომამდელი დონის მნიშვნელოვნად გადაჭარბება.

ახალმა ხუთწლიანმა გეგმამ და საბჭოთა ქვეყნის განვითარების იმ დიადმა პერსპექტივებმა, რომლებიც თქვენ დაგვისახეთ თქვენს ისტორიულ სიტყვაში 1946 წლის 9 თებერვალს, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანა თბილისის ახალგაზრდობა. 380 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა ამჟამად მუშაობს ქალაქის ქარხნებსა და ფაბრიკებში, ისინი ყოველ თვე მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო დავალებებს. ბევრი ახალგაზრდა სტახანოველი ღირსეულად ინარჩუნებს პირველობას სოციალისტურ შეჯიბრებაში და სულ ახალ-ახალ საწარმოო წარმატებას აღწევს.

სამშობლოს წინაშე მოვალეობის მაღალი შეგნებით და პასუხისმგებლობით სწავლობს ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობა. საგაზაფხულო გადასაყვანმა გამოცდებმა საშუალო სკოლებში და საგამოცდო სესიებმა უმაღლეს სასწავლებლებში ცხადჰყვეს მოსწავლე ახალგაზრდობის გაზრდილი ცოდნა. ახალი, გადიდებული მოთხოვნები, რასაც სახელმწიფო სკოლას უყენებს, სტიმულს აძლევენ მოსწავლეებს უფრო ღრმად დაეუფლონ ცოდნას.

ჩვენმა კონფერენციამ შეაჯამა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა საანგარიშო პერიოდში და დასახა საქართველოს დედაქალაქის კომკავშირის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების გზები.

კონფერენციის დელეგატები პირობას გაძლევენ თქვენ, ჩვენო ძვირფასო მამავ და მასწავლებელო, რომ კომკავშირელები, ქალაქის მთელი ახალგაზრდობა მიჰბაძავენ თავისი მამებისა და უფროსი ძმების მაგალითს, გმირი საბჭოთა ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლების მაგალითს და თავის უწმინდეს მოვალეობად ყოველთვის ჩასთვლიან საყვარელი დედა-სამშობლოსადმი თავდადებულ სამსახურს, მზადყოფნას იბრძოლონ თქვენი ბრძნული მითითებების განხორციელებისათვის.

პირობას გაძლევთ, საყვარელო ამხანაგო სტალინ, კვლავაც ბეჯითად ვისწავლოთ, შევიძინოთ ცოდნა, ვიყოთ დაუღალავი მებრძოლნი ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის, ჩვენი სახელოვანი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები.

თქვენი დიადი სახელი, თქვენი ზრუნვა, ძვირფასო მამავ და ბელადო, აღაფრთოვანებს საბჭოთა ხალხსა და ახალგაზრდობას ახალი საგმირო საქმეებისათვის, ჩვენი მძლავრი სამშობლოს დიდებისათვის.

კომკავშირელები, თბილისის ახალგაზრდობა, აღზრდილნი თქვენი სახელოვანი თანამოსაგრის ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, მზად არიან ახლა, ისევე, როგორც ყოველთვის, ღირსეულად შეასრულონ ბოლშევიკური პარტიის ყოველი დავალება, მზად არიან მთელი თავისი ძალა და ენერგია მოახმარონ თქვენი, ჩვენო მშობლიურო ამხანაგო სტალინ, ყველა მითითების განხორციელებას.

გულითადად გისურვებთ ჩვენო ძვირფასო და საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ ჯანმრთელობას და მრავალ წელს სიცოცხლეს მთელი კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიდი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის!

გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს—საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლიერების, ბედნიერებისა და დიდების ურღვევ დასაყრდენს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას—ჩვენი გამარჯვებების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს გამარჯვების შემოქმედს, ხალხთა დიდ ბელადს, მამას, ჩვენს მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

მოსკოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის თბილისის ორგანიზაციის 24-ე საქალაქო კონფერენცია მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, ამხანაგო ლავრენტი პავლეს-ძევ, ქართველი ხალხის საყვარელ შვილს, ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობარსა და მასწავლებელს, დიდი სტალინის უახლოეს და ერთგულ თანამებრძოლს.

საქართველოს კომკავშირის, მისი მოწინავე რაზმის—თბილისის კომკავშირული ორგანიზაციის ბრძოლისა და შემოქმედების მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული თქვენს ძვირფას სახელთან. თქვენ, საყვარელო ლავრენტი პავლეს-ძევ, წლების მანძილზე ზრდიდით მათ კომუნისტური სულისკვეთებით, ერთობდით და აკაჟებდით სოციალიზმისათვის, კომუნიზმის საქმისათვის, ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის ბრძოლაში, ასწავლიდით ხალხის ინტერესებისათვის თავდადებას, ხალხის ყველა ჯურის მტრებისადმი სიძულვილს. თქვენი მუშაობის ლენინურ-სტალინური სტილის, თქვენი ბოლშევიკური შეუდრეკლობის, სიმტკიცისა და რკინისებური ნებისყოფის ბრწყინვალე მაგალითებზე ასწავლიდით მათ მუდამ ხალხის სამსახურში ყოფნას, დასახული მიზნის მიღწევისადმი განუხრელ მისწრაფებას. თქვენ ყოველთვის ზრუნავდით საბჭოთა საქართველოსა და ამიერკავკასიის ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. თქვენი შესანიშნავი შრომა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც ბოლშევიზმის გმირული ისტორიის დიდ მატიანეში შესულია როგორც ძვირფასი განძი, თვითეული ახალგაზრდის, თვითეული კომკავშირელის ნიადაგსახმარი საყვარელი წიგნი გახდა.

ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით თქვენ მიერ აღზრდილმა და ამავე საქმისათვის საბრძოლველად თქვენ მიერ შთაგონებულმა დედაქალაქის ახალგაზრდობამ, კომკავშირმა თავი ისახელეს დიდი სამამულო ომის წლებში. თბილისის კომკავშირულ ორგანიზაციებში დავაჟკაცებულმა ასობით ახალგაზრდამ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა მთავრობისაგან მიიღო ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ორდენები და მედლები. დედაქალაქის ბევრი ახალგაზრდა, რომელიც ზურგში თავდადებული შრომით აჩქარებდა ფრონტზე ჩვენს გამარჯვებას, აგრეთვე დაჯილდოებულია საბჭოთა მთავრობის მიერ.

თბილისის კომკავშირს, მის ახალგაზრდობას არასოდეს არ დაავიწყდება თქვენი უდიდესი ისტორიული დამსახურება კავკასიის გმირული დაცვის საქმეში. თქვენ ამხანაგო ლავრენტი პავლეს-ძევ, სამამულო ომის წლებში, როცა გერმანელი ფაშისტები მოადგნენ კავკასიის კარიბჭეს, სათავეში ჩაუდექით ამიერკავკასიის დაცვას მტრის შემოტევისაგან, მტრების უკუგდებისა და განადგურების დიადი სტალინური გეგმის განხორციელებას, რომელიც თქვენი გენიალური მხედართმთავრობის შედეგად ბრწყინვალედ იქნა დაგვირგვინებული.

საქართველოს დედაქალაქის კომკავშირს, ახალგაზრდობას მთელს მშრომელებთან ერთად მტკიცედ ახსოვთ თქვენი ბრძნული დარიგება და მითითებანი თბილისის საქალაქო მეურნეობის აღდგენისა და ქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის, რაც მოცემულია თქვენს მარად დაუვიწყარ სიტყვაში ქალაქ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს. დედაქალაქის კომკავშირი, მთელი ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ თბილისი კვლავაც იდგეს საბჭოთა კავშირის უმშვენიერეს ქალაქთა რიგებში.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით აღფრთოვანებული თბილისის კომკავშირი, დედაქალაქის მთელი ახალგაზრდობა უფრო მტკიცედ დაირაზმება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გარშემო და მთელი ენერგიით იბრძოლებს მეოთხე სტალინური ხუთწლედის დიადი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

გაუმარჯოს ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, საბჭოთა ახალგაზრდობის მამასა და მასწავლებელს, გენერალისიმუს სტალინს!

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 10 დღით ადრე

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ვადაზე 10 დღით ადრე შეასრულა 1946 წლის პირველი ნახევრის გეგმა. საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცეს სამჭედლო-თერმული (უფროსი ინჟინერი ვ. კაპანაძე), სახარატო (ბ. გრიგორიევი) და ლითონ-სამსხმელო (ვ. ბუტი) საამქროთა კოლექტივებმა.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ქარხანა სისტემატურად მზარდი მაჩვენებლებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

მეორე ადგილზე საკავშირო მასშტაბით

პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ჟიურიმ მაისში საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკას საკავშირო შეჯიბრებაში მიაკუთვნა მეორე ადგილი და პრემია 65.000 მანეთის რაოდენობით. ფაბრიკის ხელმძღვანელები — დირექტორი ს. გიგაური და მთავარი ინჟინერი ს. იაკობაშვილი დაჯილდოებული არიან თვენახევრის ხელფასით.

სასაქონლო პროდუქციის გამოშვების მაისის გეგმა ფაბრიკამ 115,9 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნატურალური პროდუქციის გამოშვებისა—113,6 პროცენტით. წარმატებით მუშაობენ და საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან საპრეტურო (უფროსი ინჟინერი ვ. ჭანიშვილი) და მაუდის საქსოვი (დ. ხვედელიძე) საამქროები. ფაბრიკის კოლექტივმა ივნისის ორი დეკადის საწარმოო დავალებაც გადაჭარბებით შეასრულა.

მოწინავე ქარხნის წარჩინებული ბრიგადები

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი მაკეევკელ მეტალურგებთან შეჯიბრებაში დიდი წარმატებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. ნახევარი წლის გეგმა ქარხანამ 24 მაისს შეასრულა.

განსაკუთრებით დაწინაურდა სადნობი საამქრო (უფროსი ამხ. მაღლაკელიძე). საამქროში ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს ლ. ბრეგვაძის ცვლას. შეჯიბრებაში საქარხნო პირველობას ინარჩუნებს ივ. აბესაძის ბრიგადა. მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან აგრეთვე ვ. გოცაძისა და ვ. ხუჯაძის ბრიგადები.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ა. წ. 25 ივნისს მოსკოვში რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. **ი. ა. ვლასოვის** თავმჯდომარეობით შესდგა რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დადგენილება მიიღო გამოიცეს რსფსრ უმაღლესი საბჭოს მიერ VII სესიაზე მიღებული კანონები და დადგენილებები, აგრეთვე დაადგინა გამოიცეს უმაღლესი საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში.

რსფსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენით პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

რსფსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. **ნ. ნ. ბესპალოვი.**

სხდომას დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. **ნ. მ. შვერნიკი.**

მეჩნიკოვის სახელობის ოქროს მედალი და პრემიები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გამოაცხადა კონკურსი დიდი რუსი მეცნიერის ი. ი. მეჩნიკოვის სახელობის ოქროს მედლისა და პრემიების მოსაპოვებლად. როგორც ცნობილია, ოქროს მედალი და პრემიები მთავრობამ დააწესა 1945 წელს მეჩნიკოვის დაბადების ასი წლისთავის აღსანიშნავად. ამ ჯილდოების მიკუთვნება ყოველწლიურად მოხდება მიკრობიოლოგიის, იმუნოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის დარგში თვალსაჩინო შრომებისა და ბიოლოგიის დარგში დიდი მიღწევებისათვის.

მეჩნიკოვის სახელობის ოქროს მედალი და პრემიები პირველად მიეკუთვნებათ ამა წლის დამლევს უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის. მეცნიერული ნაშრომები საკონკურსოდ წარმოდგენილ უნდა იქნან პირველ აგვისტომდე.

* * *

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1 ივლისს მოიწვიოს აკადემიის საერთო კრება. (საკდესი).

ი. ბ. სტალინის თხზულებათა თარგმნა ყაზახურ ენაზე

ალმა-ატა, 19 ივნისი. (საკდესი). ყაზახეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა (მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალი) დაიწყო ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომის ყაზახურ ენაზე თარგმნა. წიგნი წელს გამოიცემა.

ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკთა დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

ესტონეთის სსრ სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებული არიან:

ლენინის ორდენით — ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ი. ვარესი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ტ. ვეიმერი, ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. კაროტამი, ესტონეთის სსრ სახკომსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ი. გ. ლაურისტინი, № 9 ქარხნის მჭედელი ი. ი. ლახცე, გ. ვ. პეროვი, ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ს. ვ. საზონოვი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ა. სეპრე, ესტონეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე ი. ფ. ტელმანი;

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით—11 კაცი;

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით—11 კაცი;

შრომის წითელი დროშის ორდენით—50 კაცი;

წითელი ვარსკვლავის ორდენით—93 კაცი;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით—92 კაცი;

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“—59 კაცი;

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“—60 კაცი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები თავისუფლდებიან სწავლის ქირისაგან

რსფსრ განათლების მინისტრის ამხ. კალაშნიკოვის ბრძანებით საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები თავისუფლდებიან სასწავლებლებში სწავლის ქირისაგან.

მიმდინარე წლის 1 ივნისიდან პედაგოგიურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, სამასწავლებლო და პედაგოგიურ ინსტიტუტებში მოსწავლე საბჭოთა კავშირის გმირებისა და სოციალისტური შრომის გმირებისათვის წესდება თვეში 400 მანეთი სტიპენდია. (საკდესი).

პურის აღება ყუბანში

კრასნოდარი, 23 ივნისი. (საკდესი). მხარის რაიონების უმეტესმა ნაწილმა დაიწყო მოსავლის აღება. სამხრეთისა და ცენტრალური რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში მოსავალს იღებენ ხელით, მარტივი მანქანებითა და კომბაინებით. საშემოდგომო პურეულის მოსავლის შერჩევითს აღებას იწყებენ მხარის ჩრდილოეთი ნაწილის — ყუბანის ძირითადი პურეულის რაიონების კოლმეურნეობებიც.

ყველა საშუალებით — ცელით დაწყებული და კომბაინებით დამთავრებული — იღებს მოსავალს ყირიმის რაიონი, რომელმაც უკვე აიღო 400 ჰექტარი საშემოდგომო ქერი. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სამ დღეში მომკან საშემოდგომო ქერის მთელი ფართობი.

პრიმორსკო-ახტარსკაიას რაიონში თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებას პირველი შეუდგა სასოფლო-სამეურნეო არტელი „კრასნი ბოეც“, რომელსაც ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ტამაროვსკი. აღებულია პირველი რამდენიმე ასეული ჰექტარი მოსავალი. ამ კოლმეურნეობის შემდეგ მკა დაიწყეს სხვა კოლმეურნეობებმაც.

სლავიანსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი პარტიზანში“ თვითეულ ჰექტარზე სულ ცოტა 18 ცენტნერ ქერს იღებენ.

ც ნ ო ბ ა
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის შესახებ

ამა წლის 24 ივნისს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. გერმანიაში ფედერაციის კომისიის გამგზავრების შედეგები;

2. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობა;

3. შრომის საყოველთაო კონფედერაციის აღდგენა საბერძნეთში;

გერმანიაში ფედერაციის კომისიის მგზავრობის შედეგების საკითხზე აღმასკომმა დაამტკიცა რეკომენდაციები ბერლინში არსებული მოკავშირეთა საკონტროლო საბჭოსადმი, რომლებიც მიღებულია აღმასრულებელი ბიუროს მიერ.

მიღებულ რეკომენდაციებში აღნიშნულია:

ა) უზრუნველყოფილ უნდა იქნას თავისუფალი დემოკრატიული პროფმოძრაობის განვითარება გერმანიის ყველა საოკუპაციო ზონაში, ხოლო პროფკავშირთა მოწყობა უნდა სწარმოებდეს საწარმოო პრინციპის მიხედვით: ერთი წარმოება—ერთი პროფკავშირი;

ბ) გერმანიის პროფკავშირებმა სისტემატური მუშაობა უნდა გასწიონ გერმანიის იმ ახალგაზრდობისა და მუშათა კლასის ყველა ფენის დემოკრატიული სულისკვეთებით ხელახლად აღზრდისათვის, რომლებიც ფაშისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცნენ;

გ) გერმანიის თავისუფალმა პროფკავშირებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ დენაციფიკაციის ყველა კომისიის მუშაობაში;

დ) ყურადღება ექცევა იმას, რომ ნაცისტები მიძვრებიან ტრესტებსა და საწარმოებში სახელმძღვანელო პოსტებზე, და არის ცდები გერმანიის იმპერიალიზმის ეკონომიური ბაზის აღდგენისა;

ე) ყურადღება ექცევა აგრეთვე აპარატსა და პოლიციაში ნაცისტთა შესვლის განსაკუთრებულ საფრთხეს და წამოყენებულია მოთხოვნა სახელმწიფო აპარატიდან და პოლიციიდან ნაცისტთა გაძევების შესახებ.

„პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურთიერთობის" საკითხზე აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი მიმართვის შესახებ, რომელშიც ასახულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოლაპარაკების ისტორია და ჩამოყალიბებულ იქნას ფედერაციის მოთხოვნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში, კერძოდ ეკონომიურ და სოციალურ საბჭოში ფედერაციის წარმომადგენლობის შესახებ.

მიმართვის დამუშავება მიენდო კომისიას შემდეგი შემადგენლობით: საიანი (გენერალური მდივანი), დიკინი (ინგლისი), ტარასოვი (სსრ კავშირი), ჟუო (საფრანგეთი) და კერი (ამერიკის შეერთებული შტატები).

„საბერძნეთში შრომის საყოველთაო კონფედერაციის აღდგენის" საკითხზე აღმასკომმა დაამტკიცა აღმასრულებელი ბიუროს გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია:

1. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია არსებული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში გადამწყვეტ პროტესტს აცხადებს ბერძენი მუშების სიცოცხლისა და პროფკავშირულ თავისუფლებათა ხელყოფის წინააღმდეგ;

2. ფედერაცია ამ პროტესტით მიმართავს გაერთიანებული ერების ოთხ წარმომადგენელს, რომლებიც პარიზის კონფერენციაზე არიან შეკრებილნი;

3. ფედერაცია მოითხოვს, რომ საბერძნეთში არსებული მდგომარეობის გამოსაკვლევად ოთხმა მთავრობამ დანიშნოს კომისია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ კომისიამ უნდა უზრუნველჰყოს მართლმსაჯულება და პროფკავშირული თავისუფლებანი, რომლებიც უნდა შეერთონ საერთო დემოკრატიულ თავისუფლებებს და პატივისცემით სარგებლობდნენ საბერძნეთში;

4. ფედერაცია თავის წინადადებას სრულიად დასაბუთებულად სთვლის, რათა ოთხი სახელმწიფოს მთავრობებმა საბერძნეთის მთავრობას გაუკეთონ წარდგინება საბერძნეთში არსებული მდგომარეობის გამოკვლევის ჩატარებისა და სათანადო ღონისძიებათა მიღების საჭიროების შესახებ.

5. აღმასრულებელმა ბიურომ უნდა დასახოს და განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი საბერძნეთის პროფკავშირებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების გაწევის საქმეში.

საღამოს სხდომაზე აღმასკომი შეუდგა „ფრანკოს რეჟიმთან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დამოკიდებულების" საკითხის განხილვას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მონაწილეთა მიღება პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

25 ივნისს პროფესიული კავშირების სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიღება მოაწყო ამჟამად მოსკოვში მიმდინარე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიის მონაწილეთა პატივსაცემად.

მიღებაზე იყვნენ: პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე უოლტერ სიტრინი მეუღლიანად, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლუი საიანი და აღმასკომის სესიის სხვა მონაწილენი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივნები მ. პ. ტარასოვი, ნ. ვ. პოპოვა, ე. ი. სიდორენკო, ლ. ნ. სოლოვიოვი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტთა თავმჯდომარეები, დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი დ. გ. ონიკა, სამდინარო ფლოტის მინისტრი ზ. ა. შაშკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ს. ვ. კაფტანოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. ა. ლოზოვსკი, მოსკოვის ქარხნების დირექტორები, პრესის, მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

მიღებამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობის 20 წლისთავი

მოსკოვი, 20 ივნისი. (საკდესი). 20 წელი შესრულდა მეტალურგიული ქარხნების დამპროექტებელი სახელმწიფო ინსტიტუტის — „გიპრომეზის" დაარსების დღიდან.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე „გიპრომეზი" გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს საპროექტო ორგანიზაციად, რომელსაც ფილიალების ფართო ქსელი აქვს ლენინგრადში, დნეპროპეტროვსკში, სტალინგრადში, სვერდლოვსკში, მაგნიტოგორსკში, თბილისსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში. მისი პროექტებით აშენდა მაგნიტოგორსკის კომბინატი, „აზოვსტალი", კრივოი როგის, ნოვი ტაგილის, ჩელიაბინსკისა და სხვა მეტალურგიული ქარხნები.

სამამულო ომის პერიოდში ინსტიტუტმა უდიდესი მუშაობა გასწია აღმოსავლეთში ახალ მეტალურგიულ სიმძლავრეთა შექმნასთან დაკავშირებით. უკანასკნელ წლებში მან შეიმუშავა სამხრეთის მეტალურგიის საწარმოთა აღდგენისა და რეკონსტრუქციის პროექტები. ამჟამად ინსტიტუტი ადგენს მეოთხე ხუთწლედის ახალმშენებლობათა პროექტებს.

„გიპრომეზის" ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები ეწევიან დიდ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რაც დაკავშირებულია შავი მეტალურგიის შემდგომ განვითარებასთან და ცალკეული ტექნიკური პრობლემების გადაჭრასთან (ბერვის გამდიდრება ჟანგბადით, მადნეულიდან რკინის პირდაპირი აღდგენა და სხვა).

იუბილეს ჩასატარებლად შექმნილია კომისია ნ. ი. კორობოვის თავმჯდომარეობით. 20 წლისთავი აღინიშნება ინსტიტუტის მეცნიერულ ნაშრომთა მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოცემით, საიუბილეო გამოფენის მოწყობით.

ინსტიტუტმა მრავალი მისალმებელი დეპეშა მიიღო ქარხნებისა, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საპროექტო ორგანიზაციებისაგან, მეცნიერებისა და ტექნიკის ცალკეული მუშაკებისაგან.

მიმდინარეობს შაქრის ქარხნების აღდგენა

ვორონეჟი, 25 ივნისი. (საკდესი). შაქრის ქარხნებმა 1950 წელს უნდა გამოუშვან 1.500.000 ცენტნერი პროდუქცია. უკვე 1947 წელს მათი საწარმოო სიმძლავრე 12 პროცენტით გადიდდება ომამდელთან შედარებით.

სწრაფი ტემპით ხდება ბორისოვსკის, რომანსკის, და სადოვოეს ქარხნების აღორძინება. თვითეულ ამ ქარხნამდე რკინიგზის შტო გაჰყავთ.

ჭარხლის დამამზადებელ პუნქტებში ეწყობა დასატვირთავი მექანიზმები. საქარხნოებს ჭარხალს ჰიდრავლიკური ტრანსპორტიორების საშუალებით მიაწოდებენ.

ქარხნებს აღჭურავენ ახალი მოწყობილობით წვნის გასაწმენდად, გასაფილტრავად და ასაორთქლებლად და შაქრის გასაშრობად.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება ახალ ხუთწლედში

I.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ზრდის საფუძველი ის არის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ბატონობს საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, შეუძლებელია კრიზისები და უმუშევრობა, სტალინურმა კონსტიტუციამ ყველა მოქალაქეს დაუმკვიდრა შრომის, განათლებისა და მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. „ჩვენი რევოლუცია,—ამბობს ამხანაგი სტალინი, — წარმოადგენს ერთადერთ რევოლუციას, რომელმაც არა მარტო დაამსხვრია კაპიტალიზმის ბუნდები და თავისუფლება მისცა ხალხს, არამედ ისიც მოასწრო, რომ მიეცა ხალხისათვის მატერიალური პირობები შეძლებული ცხოვრებისათვის. ამაშია ჩვენი რევოლუციის ძალა და უძლეველობა". (ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოცემა, 621-ე გვერდი).

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე დიდი წარმატებანია მიღწეული საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებაში. ჩვენი ქვეყნის სახალხო შემოსავალი, რაც 1913 წელს 21 მილიარდ მანეთს შეადგენდა, გაიზარდა პირველ ხუთწლედში 45,5 მილიარდ მანეთამდე, მეორე ხუთწლედში—96,3 მილიარდ მანეთამდე და მესამე ხუთწლედის პერიოდში—1940 წელს — 128,3 მილიარდ მანეთამდე. მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომმა ზრდამ მესამე ხუთწლედის მანძილზე გამოხატულება ჰპოვა ხელფასის ფონდის ერთ-ნახევარჯერ გადიდებით სახალხო მეურნეობაში და კოლმეურნეთა ნატურალური და ფულადი შემოსავლის დიდი ზრდით. ხალხის მასების კეთილდღეობის ზრდაში თავი იჩინა ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული სოციალისტური წყობილების დიადმა სასიცოცხლო ძალამ.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პერიოდში ჩვენმა ხალხმა მძიმე გაჭირვება გადაიტანა და სერიოზული მსხვერპლი გაიღო მტერზე გამარჯვების მისაღწევად. ამ ხანგრძლივი და მძიმე ომის, აგრეთვე გერმანელი ბარბაროსების მიერ ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის გაპარტახების შედეგები გარდუვალად თავს იჩენენ ახლაც, როცა მოსახლეობის ცხოვრების პირობები ჯერ კიდევ ძნელი რჩება. ომისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთი გადამწყვეტი ამოცანა ის არის, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ მოსახლეობის კეთილდღეობა და მივაღწიოთ ცხოვრების იმ მატერიალურ და კულტურულ დონეს, რომელიც შეეფერება საბჭოთა ხალხს—გამარჯვებულ ხალხს.

ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახულია ამოცანა—სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღდგენისა და განვითარების საფუძველზე არა მარტო აღდგენილ, არამედ გადაჭარბებულ იქნას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე. ხუთწლიანი გეგმის კანონში გათვალისწინებულია: „წარმოების გადიდების, საქონელბრუნვის გაფართოებისა და მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ხარჯების გადიდების საფუძველზე ხუთწლიანი გეგმის პერიოდში არა მარტო აღდგენილ იქნას ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე, არამედ 30-ზე მეტი პროცენტით გადაჭარბებულ იქნას სახალხო შემოსავლის ომამდელი დონე".

სახალხო შემოსავლის ზრდა საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლების ყველაზე განმაზოგადებელი მაჩვენებელია, რადგან იგი სახალხო სიმდიდრისა და მშრომელთა პირადი მოხმარების გადიდებას ნიშნავს. 1950 წელს სახალხო შემოსავალმა ხუთწლიანი გეგმით უნდა შეადგინოს 177 მილიარდი მანეთი, ანუ 138 % 1940 წლის დონესთან შედარებით. სახალხო შემოსავლის ზრდის ასეთი ტემპი შეპირობებულია სამრეწველო პროდუქციის გადიდებით, რომელმაც 1950 წელს 48 პროცენტით უნდა გადააჭარბოს ომამდელ დონეს, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადიდებით, ჩვენს ქვეყანაში ტვირთბრუნვის განვითარებით და სხვ.

სახალხო შემოსავლის ზრდის სწრაფი ტემპი საშუალებას იძლევა ერთსა და იმავე დროს განხორციელდეს დაგროვებისა და მოხმარების სწრაფი ტემპი.

მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა წარმოებისა და სახალხო შემოსავლის ზრდის შესაბამისად მეურნეობის სოციალისტური სისტემის დამახასიათებელი ნიშანია. კაპიტალისტურ ქვეყნებში სახალხო შემოსავლის ზრდა სრულიადაც არ ნიშნავს მშრომელთა მოხმარების შესაბამის გადიდებას, რადგან სახალხო შემოსავლის დიდი ნაწილი ხმარდება პარაზიტულ ექსპლოატატორულ კლასებს, ხოლო წარმოების ზრდას საბოლოო ანგარიშით თან ახლავს უმუშევრობის გადიდება, ხელფასის შემცირება, სოფლის გაპარტახება და გაღატაკება. კაპიტალისტური დაგროვების კანონი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალის დაგროვების ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მატულობს მუშათა კლასის აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკება. ცნობილია, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ხანაში უმუშევრობამ მუდმივი ხასიათი მიიღო და მშრომელთა საარსებო დონე სისტემატურად ქვეითდება. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების უკვე რამდენიმე თვის შემდეგ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში—ამერიკის შეერთებულ შტატებში—უმუშევართა რიცხვი სამ მილიონს აღემატება.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ვითარდება პრინციპულად სხვაგვარი კანონებით—გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონებით. წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის არარსებობის შედეგად მთელი სახალხო შემოსავალი მშრომელებს ეკუთვნით და ამიტომ წარმოებისა და დაგროვების განუხრელ ზრდას თან ახლავს მოსახლეობის ცხოვრების დონის სისტემატური ამაღლება. სოციალისტური რეპროდუქციის ეს კანონზომიერება თავის გამოხატულებას ჰპოულობს ახალ ხუთწლიან გეგმაშიც, რომელიც ითვალისწინებს როგორც უდიდესი მასშტაბის დაგროვებას—250 მილიარდ მანეთ კაპიტალურ დაბანდებას, ისე ხალხის კეთილდღეობის დიდ ზრდას.

II

საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა სახალხო მეურნეობაში, კვალიფიციური კადრების ზრდა და მათი ხვედრითი წონის გადიდება მშრომელთა შორის.

წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი მთელ სახალხო მეურნეობაში 1950 წელს უნდა გადიდდეს 33,5 მილიონ კაცამდე. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის საშუალო წლიურმა აბსოლუტურმა მატებამ ხუთწლედის განმავლობაში უნდა შეადგინოს 1250 ათასი კაცი. ამასთან დაკავშირებით მუშახელით, განსაკუთრებით კვალიფიციური მუშახელით მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის შევსება ხუთწლიანი გეგმის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მასობრივი კვალიფიციური კადრებით სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების შევსების ძირითადი წყარო მიმდინარე ხუთწლედში ხდება სახელმწიფო შრომითი რეზერვები.

გასული ხუთწლედის მანძილზე, ე. ი. ძირითადად ომის დროს, სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემაში მომზადებულია 2.460 ათასი კაცი, ანუ წელიწადში 500 ათასამდე კაცი. ხუთწლიანი გეგმით 1946-50 წლებისათვის გათვალისწინებულია 4.500 ათასი ახალგაზრდა მუშის მომზადება, ანუ 900 ათასი კაცისა საშუალოდ წელიწადში. სკოლებისა და სასწავლებლების რაოდენობა უნდა გადიდდეს 1946 წლის დამდეგის 2.500-დან 6.500-მდე 1950 წლისათვის.

სახელმწიფო შრომითი რეზერვების გარდა, მასობრივი კადრებით სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წყარო 1946-1950 წლებში იქნება მუშახელის ორგანიზებული შეგროვება როგორც ცალკეულ მშრომელებთან, ისე კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

ომის წლებში მთავრობა იძულებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის არამომუშავე ნაწილის მობილიზაცია მოეხდინა მრეწველობაში სამუშაოდ. ახლა, ომის დამთავრების შემდეგ, წარმოებაში მშრომელთა მიზიდვის ეს მეთოდი საჭირო აღარ არის. აღდგენილ უნდა იქნას მრეწველობაში მშრომელთა მიზიდვის ომამდელი პრაქტიკა ორგანიზებული შეგროვების გზით. ეს სამეურნეო ხელმძღვანელებს დიდ მოვალეობას აკისრებს წარმოებაში მიზიდულ მუშათა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

მასობრივ პროფესიათა მუშების კადრების მომზადება უნდა ხდებოდეს არამარტო სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის საშუალებით, არამედ იმ ახალი მუშების ინდივიდუალურ-ბრიგადული და საკურსო სწავლების გზითაც, რომლებიც მიზიდულ იქნებიან წარმოებაში ორგანიზებული შეგროვების წესით, აგრეთვე არაკვალიფიციური მუშების არსებული შემადგენლობის და უმცროსი მომსახურე პერსონალის სწავლებითაც. ამ გზით მთელ სახალხო მეურნეობაში ხუთი წლის მანძილზე მომზადებულ უნდა იქნას 7,7 მილიონი კაცი.

ამასთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა ომის პერიოდში წარმოებაში მიღებული მუშათა კლასის მრავალმილიონიანი შევსების კვალიფიკაციის ამაღლება.

გარდა ამისა, წარმოებაში კვალიფიკაციის ამაღლებამ უნდა მოიცვას დიდი არმია ახალგაზრდა მუშებისა, რომლებიც 1946-1950 წლებში მოვლენ საწარმოში საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან და სახელოსნო სასწავლებლებიდან, აგრეთვე კადრის მუშათა ნაწილი.

1946-1950 წლების მანძილზე ტექნიკურ სწავლებაში ჩაბმულ უნდა იქნას 13,9 მილიონი კაცი.

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის ზრდა სახალხო მეურნეობაში და დიდი მასშტაბით გაჩაღება კვალიფიციური კადრების მომზადებისა ხელს შეუწყობს ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და ახალი საფეხური გახდება სსრ კავშირის მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკურ აღმავლობაში.

III

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მნიშვნელოვან გადიდებას.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი მთელ სახალხო მეურნეობაში 1950 წელს 48 პროცენტით უნდა გადიდდეს 1940 წელთან შედარებით. ამასთან ხელფასის ზრდასთან ერთად შემცირდება მოხმარების საგნების ფასები და გაუქმდება საბარათო სისტემა.

საბარათო სისტემის გაუქმება გაადიდებს შრომის ანაზღაურების ფულადი ფორმის როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის სტიმულისა და მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროს მნიშვნელობას.

საბარათო სისტემის გაუქმება გააძლიერებს უშუალო კავშირს თვითეული მუშაკის შემოსავლისა და შრომის ნაყოფიერების ოდენობას შორის, დაუახლოებს მოხმარების ხასიათს მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალურ მიდრეკილებასა და მოთხოვნილებებს. საბარათო სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით ხელფასის როლის გადიდება ხელს შეუწყობს მუშაკის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის უფრო თანმიმდევრულ განხორციელებას, რაც ხელსაყრელ გავლენას მოახდენს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მუშა-მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სახალხო მეურნეობის დარგებს შორის ხელფასის გეგმიანმა რეგულირებამ უნდა უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის ისეთი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების უფრო მაღალი დონე, როგორიც არის ქვანახშირის, მეტალურგიული, ნავთის მრეწველობა, რაც შეესაბამება ამ დარგთა მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე შრომის სიმძიმესა და კვალიფიკაციას.

სოციალისტურ მეურნეობაში ხელფასის ზრდის საფუძველს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება; ამასთან ერთად ხელფასი ხდება შრომის ნაყოფიერების გადიდების მძლავრ ეკონომიურ სტიმულად. ახალ ხუთწლედში ხელფასის რეალური მნიშვნელობა განუხრელად გადიდდება მოხმარების საგნების წარმოების ზრდისა და საქონელბრუნვის გაფართოების შესაბამისად ფასების შემცირებასთან ერთად. რაც უფრო მაღალი იქნება სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, მით უფრო მალე გადიდდება რეალური ხელფასიც. მრეწველობასა და მშენებლობაში სანარდო და პრემიალური ანაზღაურების ფართო გამოყენების შედეგად შრომის ნაყოფიერების გადიდება შესაბამისად განსაზღვრავს ინდივიდუალური შემოსავლის ზრდასაც.

ახალ ხუთწლედში უნდა გადიდდეს წარმოებისა და განაწილების ორგანიზაციის ისეთი ეკონომიური ბერკეტების როლი, როგორიცაა ხელფასი, ფასი, მოგება და სხვა, წარმოების გაფართოებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებითა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით საწარმოებისა და ცალკეული მშრომელების მატერიალური დაინტერესებულობის წაახალისებლად. კერძოდ, უნდა გაიზარდოს მნიშვნელობა პრემიებისა საწარმოო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამასთან დიდდება ამ პრემიების წილი მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შემოსავალში.

ხუთწლიანი გეგმის კანონი ითვალისწინებს ყოველივე იმას, რაც საჭიროა, რათა ყოველმხრივ დაჩქარდეს და გაადვილდეს სახალხო შრომის ნაყოფიერების ახალი მძლავრი აღმავლობა და ამ საფუძველზე ამაღლდეს მშრომელთა საარსებო დონე.

გეგმა სახავს არსებული სამრეწველო, საამშენებლო, სატრანსპორტო მოწყობილობის მოდერნიზაციის უდიდეს პროგრამას, სოფლის მეურნეობაში მოწინავე ტექნიკის ფართოდ დანერგვას. მუშის ტექნიკური აღჭურვილობა ხუთი წლის განმავლობაში ერთნახევარჯერ გაიზრდება 1940 წლის დონესთან შედარებით.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონი ემყარება რა მრეწველობის გაზრდილ შესაძლებლობას, თანმიმდევრულად განახორციელებს ამხანაგ სტალინის ისტორიულ მითითებას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს შრომის მექანიზაციას სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარებისათვის.

მუშათა ტექნიკური აღჭურვილობის ზრდა და ახალი მოწყობილობის ფართოდ დანერგვა არსებით ცვლილებებს გამოიწვევს მუშათა პროფესიულ შემადგენლობაში. გაიზრდება კვალიფიციურ მუშათა რიცხვი, შემცირდება არაკვალიფიციური ფიზიკური შრომის მუშათა რიცხვი. გაიზრდება აგრეთვე სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ კვალიფიციურ მექანიკოსთა რიცხვი. ბუნებრივია, რომ ეს ცვლილებანი კვალიფიკაციის დარგში გავლენას მოახდენს აგრეთვე მუშების ხელფასისა და შრომადღეებზე კოლმეურნეების მიერ მიღებული შემოსავლის ზრდაზე.

ხელფასის სწორი აგება, გათანაბრების აღკვეთა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ წარმოებაში შრომის ნორმირების ყოველმხრივი განმტკიცების საფუძველზე. თუ არ იქნა სწორი, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები, შეუძლებელია გეგმიანი მეურნეობის წარმოება და მოწინავე და რთული ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე საწარმოების წარმატებითი მუშაობა. თვითეული საწარმოს კანონად უნდა გადაიქცეს გამოყენება ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა, რომლებიც შემუშავებული იქნება მოწინავე ტექნოლოგიისა და შრომის გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობის მოთხოვნების გათვალისწინებით. შრომის ნორმირების მოწესრიგება იმის საშუალებას იძლევა, რომ ყველაზე დიდი ეფექტიანობით გამოყენებულ იქნას შრომის ანაზღაურების წამახალისებელი სისტემები.

ახალ ხუთწლედში მიღწეულ იქნება საბჭოთა სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის დიდი გაუმჯობესება. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნება მათი საზოგადოებრივი სიმდიდრისა და შემოსავლის შემდგომი ზრდა. ახალ ხუთწლედში უნდა გადიდდეს შრომადღის როლი საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილებაში, ამასთან ფართოდ უნდა გატარდეს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის გამოზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ახალი ხუთწლედი აგრეთვე წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება საბჭოთა სოფლის კულტურული დონის ამაღლებაში—სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვის შემდგომი ზრდის, მასობრივი კვალიფიციური პროფესიების ზრდისა და სკოლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელის ფართოდ გაშლის შედეგად.

IV

ხუთწლიანი გეგმის კანონი აყენებს ამოცანას: „მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობისა და იმ მრეწველობის აღმავლობა, რომელიც აწარმოებს მოხმარების საშუალებებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და **ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვის შესაქმნელად**".

ხუთწლიანი გეგმა სახავს ხუთწლედის დამლევისათვის სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 27 პროცენტით ზრდას 1940 წელთან შედარებით. ამასთან მარცვლეულის საერთო მოსავალმა ხუთწლედის დამლევისათვის უნდა შეადგინოს წლიურად 127 მილიონი ტონა, შაქრის ჭარხლისამ—26 მილიონი ტონა, ნედლი ბამბისამ—3,1 მილიონი ტონა. მნიშვნელოვნად გაიზრდება მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა 1945 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 39 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—75 პროცენტით, ღორისა—3-ჯერ.

ფართო მოხმარების საგნებისა და კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოება 17 პროცენტით უნდა მატულობდეს საშუალოდ წელიწადში. ბამბეული ქსოვილის წარმოებამ 1950 წელს უნდა მიაღწიოს 4.686 მილიონ მეტრს, შალეული ქსოვილისამ 159,4 მილიონ მეტრს, ტყავის ფეხსაცმლისამ —240 მილიონ წყვილს, წინდებისამ—580 მილიონ წყვილს. კვების მრეწველობამ 1950 წელს უნდა მოგვცეს 1.300 ათასი ტონა ხორცი, 275 ათასი ტონა ერბო-კარაქი, 880 ათასი ტონა მცენარეული ზეთი, 2.200 ათასი ტონა თევზი, 2.400 ათასი ტონა შაქარი, 19 მილიონი ტონა ფქვილი, 870 ათასი ტონა საპონი.

ხუთწლიანი გეგმა სახავს მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა დიდ გადიდებას. მაგალითად, ხუთწლედში უნდა ამუშავდეს სიმძლავრეები საფეიქრო საწარმოთა—2.860 ათასი სართავი თითისტარისა, ხელოვნური აბრეშუმის დარგში—102 ათასი ტონისა, ფეხსაცმლის დარგში — 100 მილიონი წყვილისა; უნდა დამთავრდეს 92 შაქრის, 144 სპირტის, 24 საკონსერვო, 68 პურის ქარხნის სრული აღდგენა და აგებულ იქნას ახალი 10 შაქრის, 7 სპირტის, 9 საკონსერვო და 39 პურის ქარხანა. აღდგენილ იქნება და დამთავრდება 41 ხორცკომბინატის, 29 მაცივრის, 22 ქალაქის სარძეო ქარხნის, 8 რძე-კონსერვის ქარხნის აგება; აგებულ უნდა იქნას ახალი 36 ხორცკომბინატი, 38 მაცივარი, 48 სარძეო ქარხანა, 13 რძე-კონსერვის ქარხანა და 1.200 მექანიზებული ერბო-კარაქისა და ყველის ქარხანა.

ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელ დარგთა აღდგენისა და განვითარების ეს მძლავრი გაქანება იმის გამომხატველია, რომ პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად ზრუნავენ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის და ჩვენს ქვეყანაში მოხმარების ძირითად საგანთა სიუხვის შექმნისათვის.

გ. კოსიაჩენკო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

1846—ᲘᲕᲐᲜᲔ ᲠᲐᲛᲐᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ—1946

ეხლაც ჩვენთან ხარ

(ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲝᲜᲠᲐᲓ)

ვინც კი დახედავს შენს ქართულ სახეს,
უგულოც იყოს, შეუფარდები.
სადაც ფეხს სდგამდი—ᲛᲧᲘᲡ ᲘᲡᲘᲜᲝᲛᲓᲐ
ᲓᲐᲠᲩᲐᲗᲐ—ᲮᲐᲚᲮᲘᲗ, ᲡᲘᲪᲘᲠᲐ—ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ ᲒᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲠᲔ
ᲩᲘᲮᲘᲗᲘᲗ, ᲮᲛᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲚᲔᲯᲣᲠᲘᲗᲘᲗ,
ᲨᲔᲜ ᲓᲐᲐᲠᲬᲛᲔᲜᲒ, ᲠᲝᲛ ᲛᲬᲮᲐ ᲜᲘᲜᲘᲪ ᲒᲯᲐᲕᲘᲗ
ᲓᲐ ᲓᲘᲓᲐᲠ ᲐᲮᲠᲘᲗ ᲔᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲗᲘᲗ.

ᲐᲚᲑᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ ᲔᲚᲔᲛᲘᲗ,
ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲔᲛ ᲓᲠᲝᲨᲐ ᲝᲛᲘᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲗ...
ᲨᲔᲜ ᲥᲐᲠᲗᲔᲚᲘ ᲭᲙᲕᲐᲕ, ᲥᲐᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲚᲐᲮᲐᲝᲗᲘ,
ᲔᲮᲚᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ—ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ.

Ი. ᲒᲠᲘᲨᲣᲨᲕᲘᲚᲘ

1946 წ. 26 ივნისი.

ᲓᲘᲓᲘ ᲡᲜᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ

(ᲒᲝᲒᲝᲚᲔᲑᲐ)

დიდ ქართველ მოღვაწეს ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილს ძალიან უყვარდა მეცნიერული აღმოჩენების პრობაგანდა. ამ მიზნით ის ზშირად კითხულობდა პოპულარულ ლექციებს როგორც ფიზიოლოგიის, ისე მედიცინის სხვადასხვა დარგიდან.

თბილისში ი. თარხნიშვილის ჩამოსვლა და მისი ლექციების მოწყობა დღესასწაულად ითვლებოდა. საზოგადოებრიობა ღრმა პატივისცემით ხვდებოდა მას. თარხნიშვილმა რამდენჯერმე წაიკითხა ლექციები ლიტერატურის შესახებ, გაარჩია გორკის მხატვრული შემოქმედების ტიპები. ის ძალიან პოპულარული მეცნიერი იყო როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

საუკეთესო ფიზიოლოგები ამაყობდნენ თარხნიშვილის მოღვაწეობით და წარმატებებით, ის თვლიდნდა ბევრი სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად პარიზში, ბერლინში, რომში, ლონდონსა და ნიუ-იორკში. თარხნიშვილს იწვევდნენ თითქმის ყველა მეცნიერულ ყრილობაზე, სადაც ზშირად თავმჯდომარედაც ირჩევდნენ.

ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი მეტად უბარალო ადამიანი იყო: წყნარი, შვიდი, ალერსიანი, ტანი ელი მოსაუბრე, ყველას დიდი პატივისცემემელი, ამასთან ლამაზი შეხედულებისა, მაღალი ტანის, შეგვარემარი.

ჩვენ ყოველთვის გულდასმით ვუსმენდით მის საუბარს და ალტაცებული ვიყავით სახელოვანი მეცნიერის ეროდიციით, ანჯრების მწყობრით, ზეციერმეტყველური გადმოცემით. მის ლექციებს აუარებელი ხალხი აწყდებოდა. კითხულობდა მარტივად, ყველასათვის გასაგები ენით, ინტონაციის არარეულობრივი გამოყენებით. მაგრამ ალტაცებაში მიდიოდნენ და ზეთს „ეაშას“ ზზრიად საზღვარი არა ჰქონდა.

1895 წლის 2 ზარტს ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილს მოღწეულ სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე სიყვარული, პატივისცემა, ალტაცება და მადლობა გამოუცხადა ბაშიმ მაკ, როგორც პეტერბურგის, ისე სხვა კულტურული ცენტრების საზოგადოებამ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, ინტელიგენციამ.

მე კარგად მახსოვს ეს დღე. მთელი აკადემია ხალხით გაიჭედა. ფიზიოლოგიის აუდიტორიაში და მის დერეფნებში ტეკა არ იყო. ანატომიის ინსტიტუტთან მდებარე ქუჩები თანდათან იფსებოდა ხალხით, ეტლების მოძრაობა შეწყდა. აუდიტორიაში შემოიყვანეს აღელვებული თარხნიშვილი.

დაიწყო მილოცვები. ლაპარაკობდნენ პროფესორები, ექიმები, სტუდენტები, კაცები, ქალები.

ზეიმის შემდეგ საყვარელი პროფესორი ხელზე აყვანილი მიაცილეს თავის ბინამდე.

ამ დღეს ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რა ძლიერ უყვარდათ და დიდად ეფასებდნენ ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილს.

1908 წელს გარდაიცვალა ეს დიდებული ადამიანი. სრული 45 წელი ესსახურებოდა იგი მეცნიერებას, მაღლა მიჰქონდა მისი დროშა. იგი გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა აუარებელი ნაშრომი, რომელნიც ფასდაუდებელ განძად ითვლებიან მოწინავე მეცნიერებში.

Დ. ᲐᲮᲚᲝᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ
დამსახურებული ექიმი

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

(ᲘᲕᲐᲜᲔ ᲠᲐᲛᲐᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ)

გასული საუკუნის 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ახალგაზრდობის პლეადიდან გამოვიდა ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი (თარხან-მოუტარავი), რომელმაც თავისი მოღვაწეობა გაშალა ბუნებისმეტყველებისა და მედიცინის დარგში. იგი დაიბადა 1846 წლის 27 ივნისს. პატარანინდანვე ივანემ კარგი მოშზდება მიიღო, შეისწავლა რუსული და უცხო ენები. ყრმობის ასაკში თარხნიშვილს მოგზაურობის დროს შეხვედრია სამკურთველოში ჩამოსული ფრანგი მეზერალი ალეკსანდრე დიუმა, რომელზეც ივანეს გონებრივი განვითარებით ვანსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ივანე თარხნიშვილი ერთხანს სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისში გიორგი წერეთელთან და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად გაემგზავრა რუსეთში; 1863 წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1863 წელი მეტად მნიშვნელოვანი თარიღია რუსეთის მეცნიერების ისტორიაში. ამ წელს გამოვიდა დიდი რუსი მეცნიერის—ივანე სეჩენოვის შრომა „თავის ტვინის რეფლექსები“. ეს შრომა სრულიად ახალი სიტყვა იყო როგორც რუსეთის, ისე მსოფლიო მეცნიერებაში. მან დიდი ყურადღება მიიპყრო და გაცხოველებული ბრძოლა გამოიწვია. „თავის ტვინის რეფლექსებში“ მოცემული იყო ფსიქიკური პრობლემების მატერიალისტური გაგების ცდა. სეჩენოვის შრომამ და მის ირგვლივ გაჩაღებულმა ბრძოლამ დაიინტერესა ნიჭიერი სტუდენტი ივანე თარხნიშვილი. დიდი რუსი მეცნიერის პიროვნებით და ლექციებით მოხიბლული ჭაბუკი 1864 წელს გადადის სასწავლებლად სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, სადაც მაშინ ფიზიოლოგიას სეჩენოვი ასწავლიდა.

ივანე თარხნიშვილს ახლო დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთის სამეცნიერო წლების მოღვაწეებთან და ერთად ნ. ჩერნიშევსკისთან. ჩვენს შეკითხვაზე ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკის შვილიშვილმა ამბავწონთ გვაცნობა: „...საოჯახო ალბომში ჩვენ გვაქვს სურათი ი. რ. თარხანოვის, ადამიანისა, რომელიც ეკუთვნოდა ამ პირთა წრეს, რომლებსაც განსაკუთრებული გულისხმიერება და ზზრუნველობა გამოიჩინეს ნ. გ. ჩერნიშევსკის ოჯახის მიმართ მისი სამოგლაჯო სასჯელისა და ციმბირში გადასახლების შემდეგ. ი. რ. (ლაპარაკია ი. თარხნიშვილზე—მ. ს.) ახლო დამოკიდებულებაში იყო ბოკოვთან, სეჩენოვთან, ა. ნ. პიპინთან და მათთან ერთად ზრუნავდა ნ. გ. ჩერნიშევსკის უფროს შვილ ალეკსანდრეზე, რომელიც ბოკოვებთან იზრდებოდა“. ივანე თარხნიშვილი „...იყო ჩვენი ოჯახის ერთი ყველაზე მახლობელი და გულისხმიერი მეგობარი, რომლისთვისაც წმიდათა-წმიდა იყო ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკის ხსოვნა“.

1869 წელს ივანე თარხნიშვილი ამ თავრეს სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიას და, იქვე სპეციალიზაციაზე ტოვებენ. თავდადებულ, თავდადებულ ეზმა სამედიცინო-კვლევის მუშაობაში. 1871 წელს იგი ამთავრებს სადისერტაციო შრომას — „სისხლისაგან დაუცლელი და დაცლილი ბაყაყების მარძნობიარე ნერვებზე—ზუთგისა და თავის ტვინზე სითბოს მოქმედების შესახებ“. ამ შრომაში მთელ რიგ საეციალურ დასკვნებთან ერთად, — ავტორი ზოგადი ხასიათის დებულებებსაც აყენებს. გამსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ სამედიცინო განათლების სისტემაში ფიზიკასა და ქიმიას წამყვანი როლი უნდა მიენიჭოსო; ფიზიოლოგიის სწავლებასთან ერთად სამედიცინო განათლებისათვის აუცილებლად საჭიროა ფსიქოლოგიის სწავლებაც, რადგან ამ უკანასკნელის ცოდნის საფუძველზე შესაძლებელია შეგნებული მიდგომა ფსიქიური დაავადებებისადმი და ბევრი სხვა ნაკლებმნიშვნელოვანი ფსიქიური ანომალიებისადმი.

დისერტაცია თარხნიშვილმა ბრწყინვალედ დაიცვა და მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. 1871 წლის შემოდგომაზე თარხნიშვილი ჩამოდის თბილისში და კითხულობს ლექციებს—„ნერვული სისტემის როლი ცხოველთა მოძრაობაში“. პირველმავე ლექციამ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა დამწყებ საზოგადოებაზე, შემდეგ აუდიტორია უშვალოთოდ გაიზარდა.

ცნობილი მეზერალი ეკატერინე გაბაშვილი თავის მოგონებაში თარხნიშვილის ლექციების შესახებ სწერს: „მთელი საათობით ველოდით ბილეთების მიღებას ჯერს და თვით სალექციო დარბაზში ზომ გულის ფანცქალით და აღფრთოვანებით ველოდით ფარდის ახდას, რომ დაგვენახა მშვენური ვაქაკი. სულ 25 თუ 26 წლის ჭაბუკი, უკვე დამსახურებული და სახელგანთქმული მეცნიერი და შესანიშნავი ორატორი“. შემდეგ ეკატერინე გაბაშვილი დასძენს, რომ თარხნიშვილის ლექციების გამო „მთელი ქალაქი ფეხზე იდგა, გაოგნებულებად მოსწავლე ახალგაზრდობა, არც ერთი წარმოდგება, არც ერთი გამოჩენილი არტისტი და საზოგადო მოღვაწე არ ღირსებია თბილისში იმისთანა საჯარო ოვაციას, რაც თარხნიშვილს თავისი ლექციებით დაიმსახურა ბაშინ“. გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, რომ „ი. რ. თარხნიშვილი ერთ იმ ქართველ მეცნიერთაგანია, რომელსაც დღეს გაითქვა სახელი სამეცნიერო კაბინეტი ევროპაში და რუსეთში“. ეხება რა თბილისში თარხნიშვილის მიერ 1871 წელს წაკითხულ ლექციებს, გ. წერეთელი სწერს: „საოცარი მეტყველებანი ბეგნდა ნათელს ახალგაზრდა მეცნიერი ი. თარხნიშვილი ფიზიოლოგიური ფუნქციების განხილვებს. ამ დროს, იმ ხანებში მთელი თბილისის საზოგადოებას მხოლოდ ახალგაზრდა პროფესორის ნიჭიერებაზე ჰქონდა საუბარი“. პოეტი გრიგოლ ორბელიანი ეკატერინე ჭავჭავაძეს სწერდა თარხნიშვილის ლექციების შესახებ: „...დიდათ საკვირველად კითხულობდა მაწყვალული უსაწყალი კაცი...“

1873 წელს ი. თარხნიშვილს საზეციერო მოვლინებით გზგზინან უცხოეთში. მან იხილა ევროპის თითქმის ყველა გამოჩენილი ფიზიოლოგიური ლაბორატორია. მოუმზადა ფიზიოლოგიური საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერებათან.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ 1875 წელს თარხნიშვილს ირჩევენ პროგაფ-დოცენტად სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში. 1877 წელს იგი უკვე ექსტრაორდინარული, ხოლო მემდეგ ორდინარული პროფესორია სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში, ფიზიოლოგიის სწორედ იმ კათედრაზე, რომელსაც წინათ სახელოვანი ივანე სეჩენოვი განაგებდა. ამრიგად აღორძდა სიტყვები ი. სეჩენოვისა, რომელსაც, გიორგი წერეთელს გადმოეცემთ, თავისი საყვარელი ასისტენტისათვის „ეწინასწარმეტყველნა: „შენ ენად შეიქმნე ჩემი სამეცნიერო მოშაობის განმგრძობენო“. ივანე თარხნიშვილის პროფესორად არჩევას ასე გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია“: „...ქართველი მსწავლული თარხნიშვილი პეტერბურგის საეკლესიო აკადემიაში ფიზიოლოგიის პროფესორად დაუნიშნავთ. სტუდენტებს აკადემიისას თურმე ძალიან უყვართ თარხნიშვილი და მისი დანიშვნა გახარებიათ“.

სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში მოღვაწეობის დროს ივანე თარხნიშვილმა სახელი გაითქვა, როგორც შესანიშნავმა მასწავლებელმა. საყოველთაო აღიარებით იგი მეკეთესებოდა აკადემიის ყველაზე საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვს. სამეცნიერო მოღვაწეობის დროს თარხნიშვილი შეგზავნილად ხელმძღვანელობდა სრულიად გარკვეული ზოგადი პრინციპებით. მისი თქმით, „საკითხის მიზანშეწონილ დაყენებაზეა უმთავრესად დამოკიდებული გამოკვლევის წარმატება. საკითხის ხასიათი კი დამოკიდებულია იმ მოსაზრებაზე, ჰიპოთეზა ან თეორიაზე, რომლითაც ვხელმძღვანელობთ მოვლენათა ამსოენიერგის შესწავლის დროს“. თარხნიშვილის-აზრით, ყველა სასიცოცხლო ფუნქციის წყარო უნდა დავინახოთ ბიფიერებათა გარდაქმნის შედეგად ორგანოებში წარმოშობილ ცოცხალ ძალებში. სასიცოცხლო მოვლენები არ შეიძლება აიხსნას რაოდენ განსაკუთრებული სასიცოცხლო ძალების არსებობითა და მოქმედებით. ფიზიოლოგიის განვითარების საუკეთესო გარანტია თარხნიშვილი ხედავს იმ შეხედულების აღიარებაში, რომლის მიხედვითაც ცხოველური სხეული წარმოადგენს გარკვეული ფიზიკური და ქიმიური თვისებების მქონე მექანიზმს. ცხოველის სხეულის მანქანასთან შედარებას, მისი აზრით, თავისი დადებითი მხარეები აქვს; ამასთან ერთად ივანე თარხნიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ანალოგიის გატარების დროს შეცდომის თავიდან ასაცილებლად მხედველობაში მიიღებენ უნდა იყოს მოვლენათა ორი ჯგუფი — როგორც მსგავსება, ისე სხვაობაც — და რომ საჭიროა ერთისა და მეორის საზღვრების ზუსტად გარკვევა. სასიცოცხლო პროცესები, მისი აზრით, „დაიკავებენ განუწყვეტელი ცვალებადობის რიგაშიდ, რომლებსაც ყოველს როგორც თვით ორგანიზმში, ისე მის გარშემო არსებული პირობები“.

ივანე თარხნიშვილს ეკუთვნის მთელი სამეცნიერო გამოკვლევა ფიზიოლოგიის სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის სეჩენოვის ლაბორატორიაში შესრულებული შრომა „სუფთა ცის მოელვების შესახებ ბაყაყის მარძნობიარე ნერვების გაღიზიანების დროს“. ამ შრომაში მიღებული დასკვნები, მისი გამოკვეულებიდან ხუთი წლის განავლის შემდეგ, გერმანელი ფიზიოლოგის ლუდვიგის ლაბორატორიაში ზეიო ტერანინგმა და გამოკვეულა როგორც სრულიად ახალი აღმოჩენა. შემდეგ გერმანელსავე ენაზე გამოკვეულებენ ლტანაში აღნიშნული იყო, რომ 5 წლით ადრე ივანე თარხნიშვილი უკვე მიეცა ამ დასკვნამდე.

ევროპის მთელი რიგი მკვლევარები უკვე 1878 წელს იხსენიებდნენ ივანე თარხნიშვილიას ამ შრომას და აღინიშნავდნენ, რომ მასში დადგენილია ზუთგისა და თავის ტვინის ცენტრების მიერ ელექტროგალიზიანების სტიმიციის მოელენები.

თარხნიშვილის ბევრი აღმოჩენა შეტანილ იქნა ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოებში. რუსი და უცხოელი ავტორები თავიანთ შრომებში ზზრიად იხსენიებენენ ივანე თარხნიშვილის გამოკვლევებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ივანე თარხნიშვილის გამოკვლევები ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმზე ეფსიკის გავლენის შესახებ. ეს საკითხი რუკიეთში პირველად მან დაიყენა და გადმოიკვლია. განსაკუთრებით ზაზი უნდა გაესვას თარხნიშვილის იმ შრომებს, სადაც განხილულია ფსიქიურისა და სომატიურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. მასვე ეკუთვნის მთელი რიგი გამოკვლევები გულის მოქმედების ნებისმიერად აჩქარების კანონზომიერების შესწავლის მიზნით.

დიდი მეცნიერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადამიანის ფსიქიკის როლს ავადმყოფობის განვითარებისა და მისი მკურნალობის პროცესში. თარხნიშვილის ნაშრომები ფსიქოთერაპიის საკითხებზე ღღესაც აქტუალურია და ექიმებისათვის მეტად სასარგებლოა მათი შესწავლა.

სამეცნიერო-კვლევის შრომებს გარდა, ივანე თარხნიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი პოპულარული თხზულება; იგი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სათანადოდ შეაფასა ილია ჭავჭავაძეს მთელი რიგი სამეცნიერო შეხედულებები და ზეპირი თუ ბეჭდვითი სიტყვით ხელი შეუწყო მათ ფართოდ გავრცელებას.

დიდი სამეცნიერო ღვაწლის გამო სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიის კონფერენციამ ივანე თარხნიშვილს 1892 წელს აკადემიკოსის წოდება მიანიჭა. მალე იგი ამავე აკადემიის უწყვალულ მეფინად აირჩიეს. ორსეულ წესის თანახმად, სწავლულ მდივანს ოთხი წლის ვადით ირჩევენ, მაგრამ შემანილი მძიმე ვითარების გამო თარხნიშვილი იძულებული შეიქნა 1894 წლის დეკემბერში შეტანინ განცხადება სწავლულო მდივნის თანამეშამბიდან გათავისუფლების შესახებ. მალე ის მოლიანად ანეზებს თავს სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიას. შემდეგ ივანე თარხნიშვილი უბრუნდება. უნივერსიტეტს, კითხულობს ლექციებს ფიზიოლოგიასა და ბიოლოგიაში. ამავე დროს ივანე თარხნიშვილს ზზრიად იწვევდნენ უცხოეთში ლექციების წასაკითხავად. იგი მონაწილეობდა მსოფლიო სამეცნიერო ყრილობებსა და კონგრესებში.

1895 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავი. ლექციის დამთავრების შემდეგ თარხნიშვილი სალექციო დარბაზიდან სახლამდე ხელში აყვანილი მიიყვანეს. მას აუარაკელი ხალხი მისდევდა. ასევე დიდი ზეიმით აღინიშნა თარხნიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 30 წლისთავი, მრავალ მილოცვას შორის, რომლებიც თარხნიშვილმა მიიღო თავისი იუბილეს გამო, ბევრი ლეპშა იყო საქართველოდან, მათ რიცხვში ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და სხვა გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა.

ივანე თარხნიშვილი მთელ რიგ საზოგადოებრივ ორგანიზაციებშეც მუშაობდა. პირველ რიგში ღასანიშნავია მისი ღიდი ამაგი სახალხო უნივერსიტეტების მოწყობაში. საყოველთაოდ ცნობილია თარხნიშვილის ნაყოფიერი მუშაობა გამომცემლობებსა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში რედაქტორად ან რედაქციის წევრად.

გულის ავადმყოფობით დაზნეულებული მხცოვანი მეცნიერი იძულებული გახდა საპენსიოდ უეცნობად წასულიყო. 1908 წელს ივანე თარხნიშვილი გარდაიცვალა ავსტრიაში. მისი ნეშტი რუსეთის მაღლერიმა საზოგადოებამ პეტერბურგში გადმოასვენა. დაკრძალვას აუარაკელი ხალხი დაესწრო. ჰრავალ მკრძნობიარე სიტყვებს შორის აღსანიშნავია მგზნებარე სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა ი. ა. ბაულოვმა—ეკუთვნ თარხნიშვილს სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სახელოვანმა განმგრძობმა სამედიცინო-ქირურგიულ აკადემიაში.

ივანე თარხნიშვილი მიეკუთვნება მეცნიერების იმ სასახელო მოღვაწეთა რიცხვს, რომელიც წარსულში დიდი საზოგადოებრივ-კულტურული როლი შეასრულეს. მის ნაშრომებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის საგანძურში საპატიო ადგილი უკავიათ.

საბჭოთა საქართველო ღრმა პატივისცემით აღინიშნავს სახელოვანი მეცნიერის ბაბაოვის ამ ნაშრომს ამ ფლობილ ალეკსანდრ ალექსანდრეს ინსტიტუტის ფილიალის სალექციო დარბაზში შესდგება საზეიმო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომას გაბრძნის აკადემიკოსი ივ. ბერიტაშვილი.

დღის წესრიგი:

„გამოჩენილი ქართველი მეცნიერი—ი. რ. თარხნიშვილი“—მომხსენებელი დოცენტი მ. საკაკაშვილი.

მოგონებანი—აწერილ ო. სახოკიანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების პროფესორებნი ნ. ყიფშიძის, მ. ფარულიძის, სვ. ყიფშიძისა და რეპუბლიკის დამსახურებული ექიმის დომ. ახვლედიანისა.

შესვლა თავისუფალია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲔᲛᲣᲜᲘᲫᲔ

ივანე თარხნიშვილს

წინაპარი გეყოდა დიდი, —
საქართველოს რკინის კარი...*)
მუზარადში გგაბსოს იგი,
ბორგნეული, ბობოკარი...
არ აკალეს... საქკეიდრო და
ხმალი ძალით გამოარეგეს
და ა ზნის ქვიშაში ვმზერთ
გადალეკულ გარე-ქართველს.
მისი ტკბერა შენ მოგდგამდა
და მკუხარი სულის ღელვა,
შენი აზრიც ისე კრთოდა,
როგორც მისი შუბის ელვა.
შენ—ილიას აზრის მოძმეკ,
შენ—აკაკის ლექსის შემწე,
არაერთხელ. გამდევნილმა,
ბოლმით გული შეიღლეწ!
ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲚᲘ, ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲚᲘ,
არ გიყვარდა ᲭᲐᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐ?
ᲙᲠᲘᲨᲘ ᲕᲘᲠ ᲓᲐᲪᲕᲐ,
რომ იარე ᲒᲐᲜᲔᲓᲒᲐᲜᲐ?
დედის ცრემლი არ ინარცე
გულის ᲙᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲑᲐᲜᲐᲓ? —
ᲐᲰᲐ, ᲐᲰᲐ!
ᲒᲐᲒᲠᲘᲜᲐᲚᲐ
ᲣᲧᲕᲗᲝᲛᲒᲔ, ᲣᲒᲬᲝᲖᲔ ᲑᲘᲓᲘᲡ ᲭᲐᲠᲛᲐ,
და ვით შენმა წინაპარმა
ᲮᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲯᲘᲗᲠᲘᲗ ᲕᲘᲠ ᲐᲙᲠᲘᲠᲘᲐ,
ᲕᲘᲠ ᲛᲘᲘᲦᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐᲤᲔᲜᲐ, —
ᲘᲡᲔ ᲒᲖᲘᲗᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲒᲐᲠᲔ,
ᲒᲐᲜᲐᲠᲔᲒ ᲜᲐᲘᲯᲔᲚᲐᲠᲘ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲘᲠᲩᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲓᲐᲚᲓᲐ,
ᲕᲘᲠ ᲓᲐᲙᲠᲘᲐᲜᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘ...
და ᲡᲐᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲜᲘᲗᲘᲡ
ᲮᲐᲠ ᲓᲘᲓᲘᲗᲝᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ...
ᲓᲐᲒᲔᲓᲒᲝᲜᲘ... ᲒᲖᲐᲓᲐᲒᲔᲚᲘᲗᲘ,
ᲗᲐᲕᲘᲗᲘᲡᲘᲚᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲘᲗ,
ᲛᲝᲐᲕᲘᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲠᲔᲑᲐᲜᲔ
ᲨᲔᲜ ᲐᲓᲒᲘᲠᲔ ᲓᲐᲒᲠᲘᲛᲝᲕᲘᲗᲔᲗ!

26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1946 Წ.

*) ი. თარხნიშვილად იყო გიორგი საკაკაძის შთამომავალი.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲔᲑᲘ

აკადემიკოსი ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილი მთელი რიგი მეცნიერული წიგნების ავტორია. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: 1. ბაყაყების მორძობის კოორდინაციის შეკმაზეში ცოცავსა და ხტომის დროს; 2. კუნთების გამშეების ფიზიოლოგია; 3. სოობოს და სიცეიეს გავლენა გრძემობად: ნერვებზე, ხერხემალსა და თავის ტვინზე.

ინსტიტუტის ექიმად ყოფნის დროს ივანე თარხნიშვილმა გამოაქვეყნა: 1. თბერი რეფლექსების ფიზიოლოგია; 2. ქლორალ-ჰიდრატი ზღვის ავადმყოფობის დროს; 3. კოკაინის ფიზიოლოგიური მოქმედება; 4. ელექთის ინერვაცია; 5. ტეტანიზატორის ცდილებათა ბის გავლენა გულის ნერვებზე (ვამოქვეყნდა სახლეკარგარეთ მილოლნებსს); 6. ნაღვლის ბიგმენტის წარმოშობა სისხლისშემლებავი ნივთიერებებიდან; 7. კურარეს გავლენა ლიმფის წარმოშობის და სისხლის შემადგენლობაზე; 8. ბაყაყის გულს გაჩერების ახალი წესი; 9. ელექთის მილებში თეთრი და წითელი სისხლის ბურთულების რაოდენობისა და ცვალებადობის შესახებ სხვადასხვა მდგომარეობის დროს; 10. რიცხობრივი ანალიზი სისხლის ელემენტების შეშუპებისა და ანთების დროს; 11. ცდილი ნერვის გავლენა გულზე; 12. მუდმივი დენის გავლენა ხერხემლისა და თავის ტვინზე.

დიდი მეცნიერის სახლეკარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნდა: 1. ფსიქომოტორიული ცენტრები ახალდაბადებულ ცხოველებსა და მათი განვითარება სხვადასხვა პირობებში; 2. ძილის ფიზიოლოგიისათვის; 3. დაკვირვებანი თავმოკვეთილ ცხოველებზე; 4. ადამიანის გულის თეთრეტერი აჩქარება; 5. ბაკრის ოპტიკური სიცარიელის მიღწევა ელექტრონაციის დახმარებით; 6. გალვანური გავლენა ადამიანის კანზე და მისი ქანაობა სხვადასხვა მიზეზების გამო; 7. ცდილითი ნერვის გავლენა ადამიანის სხეულში სითბოს რეგულაციაზე; 8. ახალი ფიზიოლოგიური ცდები ცილის შესახებ; 9. სხეულის ტემპერატურის გავლენა სხვადასხვა შხამების მოქმედების დროს.

თარგმნილი ლიტერატურიდან ივანე თარხნიშვილის კალამს ეკუთვნის: 1. რანვიეს ჰისტოლოგიის ტექნიკური სახელმძღვანელო; 2. ლეოდ ბერნარის ფიზიოლოგიური სახელმძღვანელო; 3. ვეკლის „საქმლის მონელების ფიზიოლოგია“; 4. როზენტალის „ზოგადი კუნთებისა და ნერვული სისტემის ფიზიოლოგია“; 5. პრეიერის „ზოგადი ფიზიოლოგია“; 6. ფოსტერის ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო და სხვ.

ივანე თარხნიშვილმა საჯარო ლექციები წაიკითხა შემდეგ თემებზე: 1. ნერვული სისტემის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში; 2. ფსიქიური ცენტრები; 3. სინათლის გავლენა ადამიანსა და ცხოველებზე; 4. ტელეფონის გამოყენება ცხოველთა ელექტროობისას; 5. სიცოცხლე, როგორც დუღილი; 6. ჰიპნოზიზი, შთაგონება და ზზრის კითხვა; 7. ფსიქიურ მოვლენათა გავლენა ორგანიზმის სხვადასხვა პროცესების დროს; 8. ადამიანის ორგანიზმის ზზამები და მათთან ბრძოლა; 9. სიცოცხლის ხანგრძლივობა; 10. მოხუცებულობის შესახებ (პროფესორ ი. მეჩნიკოვის სიცოცხლის ხანგრძლივობის თეორია).

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲠᲐᲛᲐᲖᲘᲡ-ᲫᲔ ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ

დღეს, 27 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მარქსეგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში შესდგება საზეიმო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სხდომას გაბრძნის აკადემიკოსი ივ. ბერიტაშვილი.

დღის წესრიგი:

„გამოჩენილი ქართველი მეცნიერი—ი. რ. თარხნიშვილი“—მომხსენებელი დოცენტი მ. საკაკაშვილი.

მოგონებანი—აწერილ ო. სახოკიანი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების პროფესორებნი ნ. ყიფშიძის, მ. ფარულიძის, სვ. ყიფშიძისა და რეპუბლიკის დამსახურებული ექიმის დომ. ახვლედიანისა.

ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ Მ. ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲕᲘᲚᲘ

„ოთხთა კონფერენციის" გარშემო

პარიზი, 25 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო განაგრძობდა იმ ეკონომიური საკითხების განხილვას, რომლებიც იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტს შეეხება. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკისა და ინგლისის დელეგაციები წინადადებას აყენებდნენ შეტანილ იქნას იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტში განყოფილება სახელწოდებით „საერთო ეკონომიური საკითხები". ამ განყოფილებაში ლაპარაკი იყო იმ ვალდებულებებზე, რომლებიც იტალიისათვის უნდა დაეკისრებინათ იმ მხრივ, რომ მას განსაზღვრული ეკონომიური პოლიტიკა გაეტარებინა უცხოეთის ფირმების მიმართ. საბჭოთა დელეგაცია თავიდანვე იმ თვალსაზრისს ადგა, რომ საზავო ხელშეკრულებაში შეტანილმა ამგვარმა ვალდებულებებმა არ შეიძლება არ შელახოს იტალიის სუვერენიტეტი. ამიტომ იგი წინადადებას აყენებდა, რომ ეს განყოფილება არ იქნას შეტანილი საზავო ხელშეკრულების პროექტში, ხოლო მასში აღძრული საკითხები გადაიჭრას ამა თუ იმ დაინტერესებული ქვეყნების ორმხრივი მოლაპარაკებით იტალიასთან.

დღეს, აზრთა ხანმოკლე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადება მიღებულ იქნა.

ამის შემდეგ გადაწყდა იტალიისა და რუმინეთისათვის საზავო ხელშეკრულებათა პროექტებიდან ამოღებულ იქნას პუნქტი იმ პირადი ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც გაერთიანებული ერების მოქალაქეებს მოუვიდათ.

გარდა ამისა, დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი იტალიის იმ აქტივების ბედის შესახებ, რომლებსაც თავის დროზე სეკვესტრი დაადეს გაერთიანებული ერების მთავრობებმა. ამერიკის პროექტში ზოგიერთი შესწორების შეტანის საფუძველზე მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ამ საკითხზე. ეკონომიურ კომიტეტს დაევალა მოამზადოს ხელშეკრულების სათანადო მუხლის ტექსტი.

ღიად დარჩა საკითხი იმ მატერიალური ზარალის კომპენსაციის შესახებ, რაც გაერთიანებული ერების საკუთრებას იტალიაში მოუვიდა. საბჭოთა დელეგაციამ აღნიშნა, რომ, თუ მხედველობაში მივიღებთ იტალიის აქტიურ მონაწილეობას ბრძოლაში გაერთიანებული ერების მხარეზე ომის უკანასკნელ პერიოდში და იტალიის ეკონომიკის აღდგენისათვის ხელშეწყობის აუცილებლობას, არ უნდა მოვითხოვოთ იმ ზარალის სრული კომპენსაცია, რაც უცხოეთის კომპანიებს იტალიაში მოუვიდათ. შეტანილ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ საჭიროა დავკმაყოფილდეთ ამ ზარალის ნაწილობრივი კომპენსაციით მისი საერთო თანხის ერთი მესამედის ფარგლებში, ვინაიდან იტალიისადმი წაყენებული სარეპარაციო მოთხოვნებიც აგებულია მხოლოდ ნაწილობრივი და არა სრული კომპენსაციის იმავე პრინციპზე, ისიც გაცილებით ნაკლები ზომით. მაგრამ როგორც ერთ-ერთ წინა სხდომაზე, ამ პრინციპის წინააღმდეგ მოსაზრებები გამოსთქვეს სხვა დელეგაციებმა.

საბჭოთა დელეგაციის წინადადებით დღეს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაჩქარდეს იმ კომისიის მუშაობა, რომელიც ამზადებს პროექტს იტალიის კოლონიების ბედის საკითხზე, რაც პრინციპულად უკვე გადაწყვეტილია მინისტრების საბჭოს მიერ ერთ-ერთ წინა სხდომაზე.

საბჭოთა დელეგაციის სხვა წინადადებით მინისტრების მოადგილეებს დაევალათ ხვალინდელი დღის განმავლობაში შეადგინონ იმ საკითხების ნუსხა, რომლებიც მინისტრების საბჭომ უნდა განიხილოს და რომლებიც გადაუწყვეტლად არის დარჩენილი ევროპაში გერმანიის ყოფილ მოკავშირე ხუთივე სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტებში. საკითხთა ეს ნუსხა, როცა იგი შედგენილ იქნება, საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ოთხი მინისტრის კონფერენციის მუშაობის ახლანდელი მდგომარეობის სრული სურათი.

გაზეთები გადმოგვცემენ ცნობებს რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის ზოგიერთი საკითხის გუშინდელი განხილვის შესახებ და აღნიშნავენ, რომ ბალკანეთის ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტები მომზადებულია გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე პროექტი იტალიისათვის. ბალკანეთის ქვეყნების მიმართ დარჩენილია მხოლოდ მეტად უმნიშვნელო რაოდენობის გადაუწყვეტელი საკითხები, რომლებსაც ეკუთვნის დუნაის ნაოსნობის პრობლემა და ზოგიერთი მეორეხარისხოვანი საკითხი. რაც შეეხება უფრო რთულ პრობლემებს და, კერძოდ, ტერიტორიული ხასიათის საკითხებს, ბალკანეთის ქვეყნების შესახებ სათანადო შეთანხმებული გადაწყვეტილებანი უკვე მიღწეულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის შედეგად.

ბალკანეთის ქვეყნებისათვის საზავო ხელშეკრულებათა პროექტების მომავალ განხილვასთან დაკავშირებით ინტერესს წარმოადგენს უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ფერენც ნადის დღევანდელ გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადება, რომელიც მან ინტერნეიშნლ ნიუს სერვისის ამერიკული სააგენტოს წარმომადგენელს გაუკეთა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა, რომელიც კაბინეტის რამდენიმე წევრთან ერთად პარიზს ჩამოვიდა ვაშინგტონსა და ლონდონში ყოფნის შემდეგ, სასაცილოდ აიგდო ის ბოროტი მონაჭორი „რკინის ფარდის" შესახებ, რომელიც საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია პრესაში. უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მას არსად შეუმჩნევია „რკინის ფარდა", რომელიც თითქოს ევროპის კონტინენტს ჰყოფს. მან დასძინა:

„ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ჩვენში მრავალი ჟურნალისტი და საქმიანი ადამიანი ჩამოდის დასავლეთის ქვეყნებიდან, რომ ჩვენ თავისუფალი ურთიერთობა გვაქვს ამ ქვეყნებთან და რომ თვითონ ჩვენ შეგვიძლია სრულიად დაუბრკოლებლად გავემგზავროთ საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში".

პრესაში კვლავ ვხვდებით სხვადასხვა მონაჭორებს, რომელთა მიზანია მოსწამლონ პოლიტიკური ატმოსფერო ოთხი მინისტრის კონფერენციის მუშაობის გარშემო. ასეთ მონაჭორებს გვთავაზობს, მაგალითად, თავის მორიგ კორესპონდენციაში პარიზიდან ინგლისის ლეიბორისტულ გაზეთ „დეილი ჰერალდის" საგარეო-პოლიტიკური მიმომხილველი იუერი. იმოწმებს რა მხოლოდ-მხოლოდ მისთვის ცნობილ „ზოგიერთ ნიშნებს", იუერი ჩმახავს, თითქოს „რუსები ცდილობენ სეპარატული გარიგებანი დასდონ იტალიელებთან რეპარაციების საკითხებზე, რაც დაკავშირებული იქნება უფრო ფართო კომერციულ შეთანხმებათა დადებასთან". შემდეგ კორესპონდენტი გასაქანს აძლევს თავის ფანტაზიას და განაგრძობს: „ეს გარიგება ნაწილია გაბედული და შორს გამიზნული გეგმისა, რომელიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ დააკავშირონ იტალიის ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიკასთან".

ამგვარი მონაჭორის მიზნის გამოცნობა ძნელი არ არის. ეტყობა, ინგლისის ლეიბორისტული გაზეთის კორესპონდენტმა იმისათვის გამოაქვეყნა თავისი უხეირო მონაჭორი, რომ სცადოს საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშოროს იტალიაში მყოფი იმ ინგლისელ-ამერიკელთა გარკვეული წრეების მანევრებს, რომლებმაც ამჟამად ამ ქვეყანასთან ზავის მომავალ ხელმოწერასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გააძლიერეს აქტივობა, რაც მიმართულია იტალიაში მათი ეკონომიური პოზიციების განმტკიცებისაკენ. ამ მიზნით იტალია აივსო ყოველნაირი ეკონომიური კომისიებით, რომლებიც ანგლო-საქსური ქვეყნებიდან ჩამოდიან და ფარულ კავშირს ამყარებენ ადგილობრივ საქმიან წრეებთან და ხელისუფლებთან.

აქაურ წრეებში მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის პრემიერ-მინისტრ დე გასპერის გუშინდელმა გამოსვლამ რადიოთი. დე გასპერიმ სცადა განეახლებინა იტალიის უსამართლო პრეტენზიები მის მიერ დაპყრობილ იულიის კრაინის სლავურ მიწებზე. აქ აღნიშნავენ, რომ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი დიდ ყურადღებას იჩენს იტალიის სუვერენიტეტისა და კანონიერი უფლებებისადმი, საეჭვოა გონივრული იყოს იტალიის პრემიერის მხრივ გამოსვლა შოვინისტური განცხადებებით, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ გააღვივონ იტალიის საზოგადოების განსაზღვრულ წრეებში ჯერ კიდევ არსებული იმპერიალისტური მიდრეკილებანი. ასეთ მიდრეკილებათა არსებობას ერთხელ კიდევ მოწმობს კამპანია, რაც გააჩაღეს იტალიის მემარჯვენე გაზეთებმა, რომლებშიც ფაშისტ აგრესორთა გუშინდელი დამქაშები მოუწოდებენ იტალიელებს „არ დათანხმდნენ" პარიზში მომზადებულ საზავო ხელშეკრულებაზე. დამახასიათებელია, რომ ამ გაზეთებმა აიტაცეს ცილისმწამებლური ჭორი, რაც გაავრცელა პარიზის ზოგიერთმა ბულვარულმა გაზეთმა, რომლებმაც საბჭოთა დელეგაციას მიაწერეს განზრახვა გასახლებულ იქნან იტალიელები ტრიესტიდან. ამ ცილისწამებას, რაც საბჭოთა პრესამ მეორე დღესვე გამოააშკარავა, ახლა სენსაციური სათაურით იმეორებს რომის ზოგიერთი ყვითელი გაზეთი.

გაზეთების პოლიტიკური მიმომხილველები სვამენ კითხვას: რა არის იმის მიზეზი, რომ პროგრესი პარიზის მოლაპარაკების მსვლელობაში საკმაოდ ნელი ტემპით ხორციელდება? გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ, როგორც სჩანს, ამ მიზეზს წარმოადგენს ამერიკელებისა და ინგლისელების ჯიუტობა ტრიესტის საკითხში, რომელსაც ბევრი გაზეთი სთვლის არა მარტო იტალიასთან საზავო ხელშეკრულების, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრების მთელი ახლანდელი სესიის დღის წესრიგის „ძირითად პრობლემად". როგორც აღნიშნავენ, ამერიკასა და ინგლისის დელეგაციების მხრივ შეიძლებოდა მოლოდინი გვქონოდა, რომ ისინი გამოიჩენდნენ ერთგვარ მზადყოფნას ანგარიში გაეწიათ მოკავშირე იუგოსლავიის კანონიერი ინტერესებისათვის. განსაკუთრებით თვალში გვეცემათ ის, რომ არადამაკმაყოფილებელია დღემდე წამოყენებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც იუგოსლავიის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ სტოვებენ იულიის კრაინის ასეულ ათასობით სლავ მოსახლეობას. როგორც სჩანს, ტრიესტის პრობლემის დამაკმაყოფილებელი გადაჭრა შეიძლება გამონახოს მხოლოდ ისეთ გზაზე, რომელიც მხედველობაში მიიღებდა როგორც მოკავშირე იუგოსლავიის ინტერესებს, ისე იუგოსლავიასა და იტალიას შორის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების ინტერესებსაც.

ჩინეთის კინოებისა და თეატრების მუშაკთა წერილი თავის კოლეგებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში

შანხაი, 24 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „მინდაი ქიბაომ" გამოაქვეყნა ჩინეთის კინოებისა და თეატრების 103 მუშაკის ღია წერილი თავისი კოლეგებისადმი ამერიკის შეერთებულ შტატებში. წერილის ავტორები აღნიშნავენ ამერიკის პოლიტიკის წინააღმდეგობას ჩინეთში.

„ჩინეთში რომ არ იგზავნებოდნენ ამერიკის ჯარები, ხომალდები და თვითმფრინავები, — ნათქვამია წერილში, — და ჩინეთში რომ არ იმყოფებოდნენ ამერიკის ჯარები, მაშინ სამოქალაქო ომი ამ ქვეყანაში არ შეიძლებოდა ასე ადვილად დაწყებულიყო. სწორედ იმიტომ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახმარება გაუწიეს ერთ-ერთ მოდავე მხარეს, ამ უკანასკნელმა იგრძნო, რომ მას აქვს შედარებით ხელსაყრელი შანსები გამარჯვებისათვის. ამრიგად, სამოქალაქო ომის წარმოშობის შესაძლებლობა მოულოდნელად გადიდდა, რის გამო გაქრა იმედი მშვიდობისა, რომელიც მთელ ჩინელ ხალხს სურდა".

ჩვენ მოვითხოვთ, — ნათქვამია დასასრულ წერილში, — რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაიყვანონ ჩინეთიდან თავიანთი ჯარები, შესწყვიტონ იარაღის გადატანა და ჯარისკაცების გადაყვანა და რომ მათ მხოლოდ მშვიდობიანი პოლიტიკური მოლაპარაკება გამოიყენონ ჩინეთის დახმარების საქმეში მისი შინაური პრობლემების გადასაჭრელად.

ამხანაგებო, მოითხოვეთ თქვენი დემოკრატიული მთავრობისაგან, რომ მან დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჩინეთიდან ყველა სახმელეთო, საზღვაო-სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალები, შესწყვიტოს ერთ-ერთი მოდავე მხარისათვის დახმარების გაწევა ჯარების გადაყვანისა და იარაღის მიწოდების გზით, მოითხოვეთ ნეიტრალიტეტის ზუსტი დაცვა, გამოააშკარავეთ იზოლაციონისტური ჯგუფების ინტრიგები.

ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ" ტრუმენის განცხადების შესახებ

შანხაი, 25 ივნისი. (საკდესი). ჟურნალი „ჩაინა უიკლი რევიუ" 22 ივნისის მოწინავე სტატიაში, რომელსაც სათაურად აქვს „ნეიტრალიტეტი თუ დოლარის დიპლომატია", სწერს:

გასულ კვირას ახასიათებდა უკიდურესი გულახდილობა და პირდაპირობა, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებში შემჩნეული არ ყოფილა ფრიად დიდი დროის მანძილზე... ტრუმენმა განაცხადა, რომ საჭიროა გაგრძელდეს ჩინეთისათვის მიწოდება ლენდ-ლიზის მიხედვით ჩინეთიდან უკანასკნელი იაპონელის რეპატრიაციამდე და რომ საჭიროა 1 მილიონი კაცისაგან შემდგარი ჩინეთის არმიის გაწვრთნა და იარაღით მომარაგება.

ამრიგად, აღნიშნავს ჟურნალი, ჩინეთის სამოქალაქო ომში ამერიკის ნეიტრალიტეტს ნიღაბი აეხადა. შემდეგ ჟურნალი სწერს, რომ თავდაპირველად დაკავებული მესამე მხარის პოზიციიდან, როცა ამერიკის შეერთებული შტატები „კარგ სამსახურს" უწევდნენ ჩინეთის სამოქალაქო ომის საკითხის მოგვარების დახმარების ცდაში, ამერიკის შეერთებული შტატები შემდეგ გადავიდნენ შუამავლობაზე და, საბოლოო ანგარიშით, ტრუმენის უკანასკნელი განცხადების მიხედვით, გადასწყვიტეს მიემხრობოდნენ ერთ-ერთ მხარეს.

ტრუმენის წინადადება კონგრესისადმი, რაც მან წარსულ კვირაში გააკეთა, ტიპიურ დოლარის დიპლომატიას წარმოადგენს. ეს დიპლომატია გამომჟღავნდა საყოველთაოდ ცნობილი ფორმით — 500 მილიონი დოლარი სესხის მიცემით. ჟურნალი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ამერიკის მე-7 ფლოტი ცინდაოს გაემგზავრა იმ მომენტში, როცა კომუნისტები უახლოვდებოდნენ ეროვნული ჯარების უკანასკნელ პლაცდარმს შანდუნის პროვინციაში.

ყველა ამ ფაქტზე შეიძლება გაცემულ იქნას მხოლოდ ერთი პასუხი: ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული აღარ არიან, რომ გარეგნულად მაინც დაიცვან ნეიტრალობა.

ჟურნალის აზრით, იმის მიზეზი, თუ რატომ წინათ არ გამოაცხადეს გადაწყვეტილება ლენდ-ლიზის მიხედვით მიწოდების განგრძობის შესახებ, აგრეთვე ამერიკელთა გადაწყვეტილება — დაეხმარონ ჩინეთის მილიონიანი არმიის მოწყობაში, ის არის, რომ ტრუმენმა განზრახ გამოიყენა საომარი მოქმედების ახლანდელი დროებითი შენელება და ნანკინში მოლაპარაკების კრიზისული მდგომარეობა, რათა ეროვნული მთავრობისათვის თავს მოეხვია თავისი გეგმები.

თუ ომი კიდევ უფრო გაფართოვდა, ამისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება არა მარტო ნანკინს, არამედ, შესაძლებელია, მნიშვნელოვანწილად ვაშინგტონსაც. მოსკოვს რომ განეცხადებინა იანანისათვის ნახევარი მილიარდი სესხის მიცემა და დიდძალი მასალა გაეგზავნა „წითელი ჩინელებისათვის", განაგრძობს ჟურნალი, არავითარი ეჭვი არ იქნებოდა, რომ ვაშინგტონი ამას ახსნიდა როგორც არარუსულ საქმეებში კრემლის ჩარევის ახალ მაგალითს.

როგორიღა უნდა ვუწოდოთ ამ შემთხვევაში ტრუმენის განცხადება მესამე მხარეებს? ან იქნებ ვაშინგტონს აღარ აწუხებს ეს? რაც შეეხება ჩვენ, სწერს დასასრულ ჟურნალი, ჯერ კიდევ ვცდილობთ გამოვარკვიოთ, გენერალი მარშალი აქ ამერიკელ შუამავლად ჩამოვიდა თუ ამერიკისა და ეროვნული გაერთიანებული ჯარების სარდლად იანანის წინააღმდეგ ლაშქრობაში.

ბრძოლა ფასებისადმი კონტროლის კანონპროექტის გარშემო ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 23 ივნისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ და სენატმა მიიღეს კანონპროექტები, რომლებიც მკვეთრად ზღუდავენ მთავრობის კონტროლს ფასებისადმი.

წარმომადგენელთა პალატისა და სენატის გაერთიანებული კომისია დახურულ სხდომებზე განიხილავს ორივე კანონპროექტში წინააღმდეგობათა მოსპობის საკითხს.

ფასებისადმი კონტროლის საკითხის გარშემო მწვავე ბრძოლა სწარმოებს. მრეწველები შეუპოვრად ცდილობენ ფასებისადმი ყოველგვარი კონტროლის გაუქმებას და ამ მიმართულებით ძლიერ ზეგავლენას ახდენენ კონგრესზე. პროფკავშირები გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან იმისათვის, რომ ფასებისადმი კონტროლი შენარჩუნებულ იქნას მომავალ წელსაც. ისინი აღნიშნავენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაიწყება ახალი, კიდევ უფრო ძლიერი ტალღა გაფიცვებისა ხელფასის მომატების ლოზუნგით.

იმ დროს, როცა მრეწველები ფასებისადმი კონტროლის გაუქმებასთან ერთად ცდილობენ შემოღებულ იქნას გადამწყვეტი კანონმდებლობა გაფიცვების წინააღმდეგ, მთავრობა ისწრაფვის მიაღწიოს ნებაყოფლობით შეთანხმებას პროფკავშირებთან, რათა მათ გაფიცვებს არ მიმართონ ერთი წლის განმავლობაში; მთავრობას, ცხადია, არა სურს მწვავე კონფლიქტი პროფკავშირებთან კონგრესის არჩევნების წინ.

შრომის მინისტრმა შველენბახმა ამას წინათ განაცხადა, რომ ფასებისადმი კონტროლი აუცილებელია, რათა გარანტირებულ იქნას შედარებითი სტაბილობა ერთი წლის განმავლობაში მუშებისა და მეწარმეების ურთიერთობაში. შველენბახმა აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განახლდება ხელფასის გადიდების მოთხოვნა და კვლავ დაიწყება გაფიცვები.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ეკონომიური სტაბილიზაციის სამმართველოს დირექტორი ბოულსი წინადადებას იძლევა მოწვეულ იქნას მრეწველებისა და პროფკავშირების წარმომადგენელთა კონფერენცია „მრეწველობაში მშვიდობის" შესახებ ხელშეკრულების შესამუშავებლად და დასადებად, რათა ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდნენ ახლანდელი მდგომარეობიდან.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ საეჭვოა შრომის ამერიკის ფედერაციის თავმჯდომარემ გრინმა შესძლოს დაარწმუნოს შრომის ამერიკის ფედერაციაში შემავალი პროფკავშირები იმაში, რომ მათ თავი შეიკავონ ხელფასის დამატებითი გადიდების მოთხოვნისაგან.

ხელი მოაწერეს ინგლის-პოლონეთის ფინანსურ შეთანხმებას

ლონდონი, 25 ივნისი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება, 24 ივნისს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროში ხელი მოაწერეს ინგლის-პოლონეთის ფინანსურ შეთანხმებას, რომელიც ეხება ინგლისისათვის პოლონეთის მიერ სამხედრო ვალების გადახდის მოწესრიგების საკითხს. შეთანხმებას ინგლისის მხრივ ხელი მოაწერეს — ნოელ-ბეიკერმა და უილფრედ იდენმა (ფინანსთა სამინისტრო) და პოლონეთის მხრივ — სტრასბურგერმა და დროზნიაკმა.

გაიხსნა იტალიის დამფუძნებელი კრება

რომი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს, დღისით მონტეჩიტორიოს სასახლეში გაიხსნა იტალიის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ 401 ხმით 468 ხმის მიმცემთაგან არჩეულია სოციალისტური პარტიის დეპუტატი ჯუზეპე არაგატი.

გაიხსნა ზუგდიდის ახალი თეატრი

ამ დღეებში გაიხსნა სამამულო ომის წლებში აგებული ზუგდიდის სახელმწიფო თეატრი. გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. პ. კანდელაკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

საზეიმო სხდომის შემდეგ თეატრმა დამსწრეთ უჩვენა თავისი ახალი სპექტაკლი „ბაში-აჩუკი" აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბ. მჭედლიძემ, მხატვრულად გააფორმა ა. ჯიქიძემ, მთავარ როლებს ასრულებდნენ ჩანაია, შონია, როგავა, ჩერქეზიშვილი და ხომეზური.

ფიზიკის კათედრების მუშაკთა სამეცნიერო-მეთოდური თათბირი

28 და 29 ივნისს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ქიმიის კორპუსში (მარის ქ. № 3) შესდგება უნივერსიტეტისა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ფიზიკის კათედრების მუშაკთა სამეცნიერო-მეთოდური თათბირი.

28 ივნისის დილის სხდომის დღის წესრიგშია: 1. პროფესორი ვ. კუპრაძე — შესავალი სიტყვა; 2. დოცენტი ვ. პარკაძე — ფიზიკის სწავლების მდგომარეობა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში; 3. დოცენტი გ. კონიაშვილი — ფიზიკის სწავლების მეთოდიკა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში; 4. კათედრის გამგეთა მოხსენებანი უნივერსიტეტში, პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტებში ფიზიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ; 5. დოცენტი ვეფხვაძე — ფიზიკის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის 8-წლიან და საშუალო სასწავლებლებში; 6. ლონისძიებანი ფიზიკის კათედრათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

29 ივნისის საღამოს სხდომის დღის წესრიგშია: 1. პროფესორი გ. მამასახლისოვი — თანამედროვე ფიზიკის პრობლემები; 2. დოცენტი მ. მირიანაშვილი — ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემა.

დილის სხდომა დაიწყება 10 საათზე, საღამოსი — 8 საათზე.

ქალაქ მახარაძის კეთილმოწყობა

მახარაძე კეთილმოწყობილ ქალაქთა რიგებში დგება. ასწლოვანი ჭადრების გვერდით იზრდება პალმები, წიწვიანი და სხვა ძვირფასი მცენარეები. მარტო წელს ქუჩების გასწვრივ დაირგო 25 ათასი ძირი პალმა, კედრი, ქაფურის ხე, ლაზონა, კომპაქტა და სხვა დეკორატიული მცენარეები.

მთავრდება ლენინისა და სტალინის სახელობის ბაღების ბეტონით შემოღობვა, რაზედაც 231 ათასი მანეთი დაიხარჯება.

მიმდინარეობს ბერიასა და მარქსის ქუჩების გაფართოება, ტროტუარების შეკეთება და გაზონების მოწყობა.

კომკავშირელთა თაოსნობით 4,5 ჰექტარზე მოეწყო „კომკავშირის ხეივანი", სადაც დარგულ და გაზრდილ 4 ათასი ძირი მარადმწვანე და დეკორატიული მცენარე. წელს გათვალისწინებულია მოასფალტებულ იქნას მრავალი ქუჩა, დამთავრდეს საბავშვო ბაღის აგურის შენობათა და ქალაქის ცენტრში არსებული ოთხსართულიანი შენობის მეორე ბლოკის აგება, ჩატარდეს სასტუმროს კაპიტალური რემონტი.

თეატრებში

27 ივნისს: სახელმწიფო ოპერა — დღისით —„აბესალომ და ეთერი", საღამოს —„ტოსკა". **რუსთაველის სახელობის**—„ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — „კოლმეურნის ქორწინება". **გრიბოედოვის სახელობის** — „ოდესელი". **მუსიკალური კომედიის** — „სამი პატარძალი". **სანკულტურის** — „ასეც იქნება".

კინოებში

27 ივნისს: რუსთაველის სახელობის და დამკვრელი (ზამთრის და საზაფხულო)—„განთავისუფლებული მიწა". ოქტომბერი — „სამღერა რუსეთზე". კომკავშირელი (ზამთრის და საზაფხულო) — „ქვის ყვავილი". ლუქსემბურგის სახელობის — „უმაღლესი ჯილდო". სპარტაკი — „ირინე". 26 კომისრის სახელობის (ზამთრის) „შვილები", (საზაფხულო) „გაზაფხულის ვალსი".

მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხი (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა მეოცდაათე ტირაჟის ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1946 წლის 15 მაისს ქალაქ მოსკოვში. მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხის (პირველი წლის გამოშვება) მეოცდაათე ტირაჟში მოგებანი ხვდათ წაუგებელი გამოშვების ყველა 61 თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს.

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
40076	33*)	500	50067	23*)	500
40177	12*)	500	50376	20*)	500
40178	32*)	500	50414	45*)	500
40276	36*)	500	50415	22*)	500
40289	1—50	200	50487	07*)	500
40392	27*)	500	50765	1—50	200
40536	09*)	500	50783	14*)	500
40577	35*)	500	50852	1—50	200
40704	34*)	500	50904	01*)	500
40878	1—50	200	50991	11*)	500
41463	14*)	500	51171	1—50	200
41512	28*)	500	51273	26*)	500
41551	29*)	500	51511	03*)	500
41567	10*)	1000	51717	1—50	200
41827	10*)	500	51892	12*)	500
41839	34*)	500	51917	15*)	500
41844	13*)	500	51941	1—50	200
41862	21*)	500	52197	1—50	200
41867	16*)	500	52259	1—50	200
42044	1—50	200	52369	05*)	500
42049	13*)	500	52379	1—50	200
42146	27*)	500	52537	1—50	200
42218	22*)	500	52745	1—50	200
42283	41*)	500	52991	33*)	500
42475	48*)	500	53144	1—50	150
42670	06*)	500	53150	09*)	500
42679	1—50	200	53170	1—50	200
42756	1—50	200	53187	32*)	500
42859	11*)	500	53203	1—50	200
43065	11*)	500	53678	1—50	200
43111	1—50	200	54109	1—50	200
43391	07*)	500	54501	11*)	500
43737	43*)	500	54562	15*)	500
43838	1—50	200	54783	05*)	500
43887	1—50	150	54800	33*)	500
43919	33*)	500	55093	1—50	200
44030	50*)	500	55184	1—50	150
44055	33*)	500	55222	13*)	500
44405	1—50	200	55353	38*)	500
44472	1—50	200	55402	48*)	500
44583	31*)	500	55742	30*)	500
45244	03*)	500	55821	02*)	500
45600	33*)	1000	55860	39*)	500
46097	1—50	150	55870	46*)	500
46440	1—50	200	55955	32*)	500
46607	24*)	500	56213	03*)	500
46714	41*)	500	56220	1—50	150
46722	03*)	500	56247	1—50	200
46800	35*)	500	56344	37*)	500
46881	1—50	200	56375	43*)	500
46962	1—50	200	56416	49*)	500
46966	47*)	500	56566	1—50	200
46988	1—50	150	56588	25*)	500
47008	1—50	200	56647	1—50	200
47065	02*)	500	56693	09*)	3000
47817	48*)	500	56699	15*)	500
47953	01*)	500	57025	20*)	1000
48060	1—50	200	57314	28*)	500
48250	1—50	200	57738	27*)	500
48620	01*)	500	57817	22*)	500
48662	30*)	500	57917	14*)	500
48862	1—50	200	58545	07*)	500
48866	33*)	500	58847	1—50	200
48920	31*)	500	58855	17*)	500
49053	38*)	1000	58930	35*)	500
49079	44*)	500	59150	30*)	500
49131	45*)	500	59207	40*)	500
49366	16*)	500	59233	47*)	500
49419	45*)	500	59394	48*)	500
49529	44*)	1000	59398	41*)	500
49607	1—50	200	59599	39*)	500
49722	18*)	500	59699	36*)	500
49733	31*)	500	59791	1—50	200
49788	47*)	500	59856	1—50	200
49849	23*)	500			
50042	24*)	500			

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციებს ხვდათ 150 მანეთი მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ვ. ა. ფეოდოროვი**

სატირაჟო კომისიის მდივანი **ი. ნ. კალუგინა.**

28 ივნისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე პოლიტგანმანათლებლობის „კომუნისტის" ლიუსი (ლენინის ქ. № 28) იწვევს **სააქტივო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პარტაქტივის კრებას.**

დღის წესრიგი: პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1946-47 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე, სპეციალობებსა და სექტორებზე:

1. **სამშენებლო ფაკულტეტი:** ა) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები), ბ) ჰიდროტექნიკური მშენებლობა, გ) საავტომობილო გზები, დ) არქიტექტურა, ე) წყალმომარაგება და კანალიზაცია, ვ) მცირე და საშუალო ჰიდროელსადგურების მშენებლობა.

2. **ელექტროტექნიკური ფაკულტეტი:** ა) ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები, ბ) სამრეწველო წარმოებათა ელექტრომოწყობილობა (ქართული და რუსული სექტორები), გ) ელექტრომანქანები.

3. **სამთო ფაკულტეტი:** ა) ქვანახშირის (ფენობრივ) ბუდობათა დამუშავება (ქართული და რუსული სექტორები), ბ) მადნეულ ბუდობათა და ქვიშრობათა დამუშავება, გ) მადნეულ ბუდობათა გეოლოგია და ძიება, დ) სამარკშეიდერო საქმე, ე) სამთო ელექტრომექანიკა.

4. **ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი:** ა) არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია, ბ) სილიკატების ტექნოლოგია, გ) ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

5. **მექანიკური ფაკულტეტი:** ა) მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), ბ) ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა, გ) ავტომობილები და ტრაქტორები (ქართული და რუსული სექტორები), დ) კვების მრეწველობის წარმოებათა მექანიკური მოწყობილობა. (იმ სპეციალობებზე, სადაც აღნიშნული არ არის სექტორები, მიღება სწარმოებს მხოლოდ ქართულ სექტორზე).

უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ის პირნი, რომელნიც საშუალო სკოლის დამთავრებისას დაჯილდოვებული არიან ოქროსი ან ვერცხლის მედლებით, ბ) რომელთაც დაამთავრეს ტექნიკუმები წარჩინების დიპლომით, მოხვდნენ თითოეული ტექნიკუმის გამოშვების 5%-ში და უმაღლეს სასწავლებელში შედიან თავიანთი სპეციალობის მიხედვით და გ) სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ფრიადოსნის ატესტატით.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1) მათემატიკა (წერა და ზეპირი), 2) ფიზიკა, 3) ქიმია, 4) რუსული ენა (წერა და ზეპირი) 5) ქართული ენა (წერა და ზეპირი, მხოლოდ ქართული სექტორისათვის) და 6) ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული) შემომსვლელის არჩევით.

სამშენებლო ფაკულტეტზე შემსვლელნი— მათ შორის ისინიც, ვინც უგამოცდოდ მიიღებიან, ნაცვლად ქიმიისა, გამოცდას აბარებენ ხატვასა და ხაზვაში.

შემსვლელთ შემოაქვთ დაწესებული ფორმის განცხადება ინსტიტუტის დირექტორის სახელზე ფაკულტეტის სპეციალობისა და სექტორის აღნიშვნით. განცხადებას თან უნდა დაერთოს: 1) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), 2) ავტობიოგრაფია, 3) სამი ფოტოსურათი, 4) ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე.

განცხადებათა მიღება სწარმოებს ყოველდღე (გარდა გამოსასვლელი დღეებისა) დილის 12 საათიდან საღამოს 7 საათამდე ინსტიტუტის მთავარ კორპუსში (სასწავლო შესახვევი № 2/4).

ინსტიტუტში შემსვლელთათვის იწარმოებს კონსულტაციები ყველა ჩასაბარებელ საგანში.

დირექცია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას შემდეგ სპეციალობებზე: ჰისტოლოგიის, ფიზიოლოგიის, პათოლოგიური ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიის, ოპერატიული ქირურგიის, მიკრობიოლოგიის, ფარმაკოლოგიის, სასამართლო მედიცინისა და კვების ჰიგიენის.

განცხადება მიიღება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების წარმოდგენით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების ცნობა, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება.

გამოცდები იწარმოებს 2 და 3 ივლისს შემდეგ საგნებში: რუსულ და ერთ-ერთ უცხო ენაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებსა და სპეციალურ საგანში.

ყოველგვარი ცნობის მიღება შეიძლება სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

ნადეჟდა ყლენტი შვილებით იუწყება აკაკი პართენის-ძე კამკამიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 27/VI, ხარაგოულში.

ოჯახი იუწყება ტიტიკო სილოვანის-ძე თალაქვაძის გარდაცვალებას. გამოსვენება 27/VI, 6 ს. ჯაფარიძის, 16.

დები პატული და ოლია ოჯახებით იუწყებიან ალექსანდრე (საშა) იოსების-ძე კანდელაკის გარდაცვალებას. გამოსვენება 27/VI, 6 ს. მერკვილაძის, 31.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება ქართული ენის კათედრის წევრის, დამსახურებული მასწავლებლის ალექსანდრე იოსების-ძე კანდელაკის გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის თანამშრომლები იუწყებიან დოცენტ ა. მ[illegible]ქაძის ძმის ვლადიმერ [illegible] გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, უოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 02803